ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ მეტრეველი

„ხელოვნება“ № 5-6
2000 წ.

შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი

(კომედია ორ მოქმედებად)

1980 წელი

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც თამაზ მეტრეველის პიესები ქართული თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა — დაიწყო თოჯინების თეატრით და რუსთაველის თეატრის სცენასაც უწია.

მის კალამს ეკუთვნის დაახლოებით ოცდახუთი ორიგინალური, გადმოკეთებული თუ თარგმნილი პიესა — ოცდაათ თეატრში გაიარეცრა მისმა სიტყვამ.

თ. მეტრეველს თეატრის თანდაყოლილი გრძნობა აქვს, კარგად „ხედავს“ სცენის დრამატურგიას, ხასიათებს მოქმედებაში ხატავს, მისი დიალოგი სხარტია და მოქნილი.

1981 წელს რუსთაველის თეატრში რეჟისორმა რეზო ჩხაიძემ დადგა მაშინ სრულიად ახალგაზრდა დრამატურგის თამაზ მეტრეველის პიესა „შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი“ (მხატვარი მიშა ჭავჭავაძე, კომპოზიტორი გია ყანჩელი), რომელსაც უჩვეულო და, ვიტყოდით, ძოულოდნელი წარმატება ხვდა წილად. რამდენიმე სეზონის მანძილზე სპექტაკლი სრული ანშლაგით მიდიოდა.

რაოდენ საოცარი და პარადოქსულიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ესოდენ წარმატებული პიესა დღემდე არ დაბეჭდილა. რაც, ცხადია, გაუგებრობას შეიძლება მიეწეროს. შესაძლოა, დღევანდელ მკითხველს პიესის პრობლემატიკა ნაწილობრივ მოძველებულად ეჩვენოს, მაგრამ პიესას აქვს სხვა ისეთი ღირსებები (ცოცხალი, დინამიკური ხასიათები, კომიკურ-გროტესკული სცენები, კარგად სათამაშო როლები), რომელთა გამო პიესის დაბეჭდვა რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია. ესეც არ იყოს, განა თეატრის ისტორიის წინაშე ვალდებული არა ვართ, რომ ყურადღებით მოვეკიდოთ ყოველ ქართულ პიესას, რომელიც რუსთაველის თეატრში დადგმულა და თან ასეთი წარმატებით?! (რედაქცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსონაჟები:

იამზე — ოჯახის დიასახლისი
ჯუმბერი — მისი მეუღლე
ხათუნა — მათი ქალიშვილი
ჯემალი
ელიკო
ნელი
ლილი — უსახლკარონი
ცირა — ჯუმბერისა და იამზეს მეზობელი
ლევანი — ცირას ვაჟი
ბევი — იამზეს დირექტორი
ეჭიმი — სახელად გივი

I მოქმედება

ზამთრის დილა. ჯუმბერ კილაძის ოჯახი. შუა ოთახი საახალწლოდაა მორთული. მარჯვნივ სადარბაზო, ტუალეტი და სამზარეულო, რომლებიც არ მოჩანს. მარცხნივ საწოლი ოთახი, არც ის მოჩანს, მხოლოდ მისი კარია მოქმედებაში. მთელი სახლი გადატვირთულია ავეჯით, გვერდით პატარა კარადა სარკითა და კოსმეტიკით. მაგიდაზე დგას ტელეფონი, იქვე სავარძელი, რომელშიც იამზე მოკალთებულა, ჯუმბერის მეუღლე, ორმოციოდე წლის ლამაზი ქალი, იგი პერანგის ამარაა, მუჭი ტუჩთან მიუტანია და ჩაფიქრებულა. კარი გაიღება, სურსათით დატვირთული ჯუმბერი ფეხაკრეფით შემოვა, სანოვაგეს შემოსასვლელში დატოვებს და კატასავით მიიპარება იამზესთან.

იამზე. სიყვარულო, სიყვარულო, როგორ სტანჯავ ადამიანს, როგორ უფლეთ სულს. **(უკანმოუხედავად) ჯუმბერ, რატომ მოიპარები ფეხისწვერებზე?**

ჯუმბერი. (შეხტება) კარგი რა, იამზე, ღმერთი არა გწამს? ასე სულ ერთსა და იმავეზე რომ ფიქრობ, ფიქრობ, ფიქრობ... ასე, შენ არ ვიცი, მაგრამ, მე კი ნამდვილად გავგიჟდები, ნამდვილად. მოისედ აქეთ, აი ნახე. ინდაურიც ვიშოვე, გოჭიც, ქათმებიც...

იამზე. (აკვირდება ნავაჭრს) ღმერთო ჩემო, რა არის, მორგია?

ჯუმბერი. მორგი? შენ იცი იაპონიაში როგორ კლავდნენ სიკვდილმისჯილს? მიაბამდნენ ძელზე და ზემოდან წვეთწვეთობით აწვეთებდნენ კეფაზე წყალს. ჰოდა, ბოლო-ბოლო გაუხვრეტდა ეს ერთი წვეთი ამ კაცს თავს, გაატანდა ტვინამდე და ჰკლავდა. ერთი წვეთი გესმის? ერთი წვეთი წყალი ჰკლავდა კაცს.

იამზე. მერე?

ჯუმბერი. ვერ მიხვდი, ხომ? ყოველ წუთს, ყოველ წამს სულ ერთსა და იმავეს რომ მეკითხები, ან მოვკვდები, ან გავგიჟდები, ამ ორიდან ერთ-ერთი ნამდვილად არ ამცდება...

ხათუნა. მამიკო, შენ არც გაგიჟდები, არც მოკვდები. შენ უბრალოდ დაგიჭერენ.

იამზე. (აკვირდება) როგორ ელაპარაკები მამას, როგორ ელაპარაკები მამას, როგორ?!

ჯუმბერი. ხათუნა მართალია. თუ ასე გაგრძელდა, მე მართლაც დამიჭერენ.

იამზე. დაგიჭერენ?

ჯუმბერი. მორჩა, ხმას აღარ ამოვიღებ. დღეიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ.

ია მზე. ახალ ცხოვრებას? დღეს რა ორშაბათია?

ჯუმბერი. ორშაბათი კი არა, ახალი წელია, ახალი და როგორც არასდროს ისე უნდა შევხვდეთ, გესმის? ყველაფერი ვიყიდე, ყველაფერი მოვიტანე. მოკლედ რაც არის, არის, დღეს ოცდათერთმეტი დეკემბერია და უმაღლესად უნდა მოვილხინოთ.

ია მზე. როგორ, დღეს ოცდათერთმეტი დეკემბერია?

ჯუმბერი. ოცდათერთმეტია, ოცდათერთმეტი... დღეს კაცობრიობა კიდევ ერთ წელს დაემშვიდობება და ხვალიდან...

ხათუნა. **(საწოლი ოთახიდან განრისხებული).** კარგი რა, მამა, ამ დილაადრიან სიტყვით რომ გამოდიხარ, ცოტა გვიან, თერთმეტი საათიდან მაინც დაიწყეთ ახალი ცხოვრება... სულ არ გეპრალებით? სიცივე მაინც არა მქონდეს. დღეში ცხრაჯერ იწყებთ მაგ ახალ ცხოვრებას, მაგრამ საშველი აღარ დაყენეთ. მთელი ღამე ღვივიძავს, ოფლში ვიწურები. დედა კიდევ ოხრავს, კვნესის, ბოდავს, არ მასვენებს. იცოდეთ, ამაღამ ახალი წელია, შეიგდებით და ისევ ერთად გაიყოფთ ცოლ-ქმრულ სარეცელს. დედა, შენ რომ დღესაც ჩემს ოთახში დაწვე, იცოდე გავაფრენ.

ია მზე. შეილი ჰქვია ამას, ჯუმბერ? მე წავედი. **(შეიკეტება საბაბაზანოში. ჯუმბერი გაზეურაზე ჩაიდანს დაადგამს. საბაბაზანოდან ისმის ია მზეს ხმა)** ჯუმბერ!

ჯუმბერი. რა გინდა?

ია მზე. მოდი აქ ერთი წუთით!

ჯუმბერი. მითხარი, გისმენ!

ია მზე. მოდი რა, ერთი წუთით!

ჯუმბერი. **(გასავათებული ამოისუნთქავს და საბაბაზანოს კართან აიტუზება)** მოვედი!

ია მზე. მისმენ?

ჯუმბერი. გისმენ.

ია მზე. როგორა ფიქრობ, მართლაც იმისი ცოლი იყო?

ჯუმბერი. **(გადაირევა)** ვაიმე, ღმერთო! რა არის რომ სულ ერთსა და იმავესა კითხულობ. შეიძლება მთელი წლის განმავლობაში დილას ამით იწყებდეს ადამიანი და საღამოს ამით ამთავრებდეს? სხვა რამეზე იფიქრე, აგერ ხათუნა მთელი კვირაა ავად არის, ამაღამ ახალი წელია, მირიანმა მანქანა დაამტვრია და ფეხი მოიტეხა...

ია მზე. გითხარი, მე ეს მაინტერესებს, ეს, და სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია. როგორ ფიქრობ, ვითომ ჩემი ადგილი სურთ და თავიდან უნდათ რომ მომიცილონ?

ჯუმბერი. არა მგონია!

ია მზე. მაშ რატომ მირეკავენ, ან ვინ იყო ის ხალხი, აქ რომ მოვიდნენ?

ჯუმბერი. მართალია, შენი ადგილი უნდათ!

ია მზე. **(გამოვა საბაბაზანოდან)** დავუშვათ... მაშინ სიყვარულს რაღას მიხსნიდა, ან ცრემლები რატომ გადმოყარა? შეიძლება, რომ კაცს არ უყვარდე და ცრემლები ღვაროს?

ჯუმბერი. **(ყვირილით)** შეიძლება, შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, თუკი კაცს ქალის მოტყუება სურს, **შეიძლება** მდუღარეშიც იბანაოს, ადუღებული ფისიც ჩაისხას ხახაში, ნაკვერჩხლებზეც გაიაროს და რა ვიცი, რა ვითხრა... პლასტიკური ოპერაციაც კი გაიკეთოს.

ხათუნა. **(ყვირილით)** გაჩუმდით! გაჩუმდით! ხალხნი არა ხართ?

ია მზე. თუ ვუყვარვარ, ტელეფონზე რაღას არეკინებს?

ჯუმბერი. დაიწყო ისევ თავიდან! კარგად მომისმინე და დამიჯერე რა? დამიჯერე! ეგ ყველაფერი კარგად ჩაწყობილი შანტაჟია და მეტი არაფერი.

ია მზე. მაშინ გივის ცოლი ჩვენთან რატომღა იყო მოსული?

ჯუმბერი. **(ყვირილით)** რა იცი რომ გივის ცოლი იყო, რა? შენ ხომ არ გინახავს არა თვალით?!

იამზე. მე თუ არ მინახავს, ხათუნამ ხომ ნახა. ცისფერი თვალები ჰქონდა და მონგრეული ტანიო. ზუსტად ასეთი ცოლი ჰყავს გივის.

ჯუმბერი. კარგი ჰო, ის იყო! ახლა ეს მითხარი, შენ ჩემთვის არ გიღალატია, ხომ ასეა! იმ კაცთან არა წოლილხარ! არა! თუ იწექი და მიღალატე, მაშინ მითხარი!

იამზე. ჯუმბერ, რომ მეღალატა, პირველად ხომ შენ გეტყოდი, არა? მხოლოდ ის იყო, რომ მითხრა მიყვარხარო და ცრემლები გადმოყარა.

ჯუმბერი. მეტი არაფერი ხომ?

იამზე. არა, არაფერი. რანაირად დაგარწმუნო!?

ჯუმბერი. ჰოდა რას გეტყვი იცი? რომც გეღალატა, რომც ყველაფერი მომხდარიყო თქვენს შორის, მაინც გაპატიებდი, ხმას არ ამოვიღებდი, ოღონდ მორჩეს ეს ყველაფერი, მორჩეს!

იამზე. რა გაგვირებს, ეს ამბავი ისეა ჩახლართული, რომ მე უბრალოდ მინდა გავარკვიო და მაინტერესებს, ხომ გესმის, მაინტერესებს. თანაც მე მეხება არა? მე.

ჯუმბერი. მე უკვე მეეჭვება, რომ შენ არა... **(ვერ უთქვამს)** რომ შენ ნორმალურ ჭკუაზე ხარ. მილიონჯერა მაქვს ნათქვამი, რომ ჩვენ ამ აბდაუბდას ვერაფრით ვერაფერს გავუგებთ! ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ სამუდამოდ დავივიწყოთ! არ ამბობს ის კაცი, არ ამბობს ეს ქალი, კაციშვილი ხმას არ იღებს და რანაირად გინდა რომ გაიგო! მთავარია, რომ შენ არ გიღალატია და ისევ... გადარჩი!

იამზე. თუ მასეა, რატომ დამიმალეს გასაღები?

ჯუმბერი. ხომ შეიძლება, რომ შემთხვევით დაკარგეს და შენ ისევ შენს ეჭვებს გადაბრალე?

იამზე. ისიც შემთხვევითაა, რომ მე სკამს აქედან მივადგამ მაგიდას და მეორე მხარესა მხვდება მიდგმული? ან ტელეფონი, გამუდმებით რომ წკრიალებს, ან ფარდები, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

(რეკავს ტელეფონი. იამზე შეშინებული წაიღებს მისკენ ხელს). აი, აი, ისევ წკრიალებს, წკრიალებს. **(იღებს ყურმილს)** ალო, ალო, გისმენთ, გისმენთ... **(შეშინებული აწვდის ყურმილს ჯუმბერს).**

ჯუმბერი. დადე ყურმილი, დადე! **(გამოგლეჯს ხელიდან ყურმილს)** ალო, გისმენთ! ამოიღე ხმა, შე...

იამზე. **(ყურმილს გამოსტაცებს)** დაკიდეს, ხედავ, შენი ხმა რომ გაიგეს, დაკიდეს!

ჯუმბერი. როგორ დავარწმუნო, დაიჯერე ბოლოს და ბოლოს, რომ არ შეიძლება, რაც უნდა საშინლად სურდეთ შენი მოცილება ამდენი რამე მოიფიქრონ, არა! ეგ შენა გაქვს ტვინი უკუღმა მოწყობილი, შენ! **(და უკვე დაყვავებით)** ჩაიცვი ერთხელ და წავიდეთ ექიმთან, მოგვისმენს, გაარკვევს, სად სიმართლეა და სად ტყუილი, თორემ უკვე მეც შენს დღეში ვარ, მეც სულ ამ სისულელეებზე ვფიქრობ...

იამზე. **(აღშფოთდება)** არავითარ შემთხვევაში. ექიმი რომ მეორედ მიხსენო, იცოდე თავს ჩამოვიხრჩობ. ვიცი მე რისთვისაც გინდა შენ ეგ ექიმი, ვიცი. ექიმებმა შეიძლება მართლაც გამაგიჟონ და შენც ეგ გინდა...

ჯუმბერი. ჰო, მინდა, მინდა... ფსიქიატრიულში შიზოიდებთან წანწალიდა მაკლია და იქაური ექიმებისაგან ძარცვა.

იამზე. მე კი მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი გივის ჩაწყობილია.

ჯუმბერი. **(ყვირილით)** ვისი?

იამზე. დამნაშავე კი მაინც შენა ხარ!

ჯუმბერი. მე?

იამზე, დიახ, დიახ... შენ რომ სხვანაირად მოქცეულიყავ, მე დღეს ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდი. ქალი ორ-სამ თვეში ზეზეულად ჩამოვდნი... ხომ ხედავ, რას დავემსგავსე, რას!

ჯუმბერი. მე რა შუაში ვარ, მე რა უნდა მექნა, მე ხომ არ შემიყვარდა, შენ შეგიყვარდა არა ის კაცი... გაიგე, დღეს მეოცე საუკუნეა, ვინღა გიჟდება სიყვარულის გამო, ვინ? იქამდე მივედი, რომ ფეხისწვერებზე დავდივარ, გეფერები, გელოლიავები... მაგრამ მოდის ვიღაც გოგი და ერთი ხელის მოსმით ანგრევს რის ვაივაგლახით შეკოწიწებულსა და გამოლიანებულ ოჯახს. მოვიარე მთელი ქალაქი, მოვიტანე რაც მოსატანი იყო, მინდა ერთხელ მაინც შევხვდე ახალ წელს ნორმალურად... შემოგდივარ შინ და... ერთი ჩამჩიჩინებს ციხეში წასვალო... მეორე.. **(პაუზა)** მეორეს ჰალუცინაციები სჭირს სიყვარულის გამო...

იამზე. ჰალუცინაციები... თანაშრომლებმა რომ ჩემს სახელზე საჩივარი დაწერეს, ესეც მერვენება? ყველა, ყველა ერთად ამიმხედრა ვერაგმა.

ჯუმბერი. ახლა მე წავალ და მოვკლავ შენს გოგის.

იამზე. რა?

ჯუმბერი. ჰოდა, ამით დამთავრდება ყველაფერი.

ჯუმბერი დინჯად მოემზადება და გასცლას აპირებს.

იამზე. გაჩერდი, სად მიდიხარ! მართლა მოკვლას უპირებ? იქნებ იმისი ბრალი არცაა. გაჩერდი!

ჯუმბერი ფანჯარაში გადაიხედავს.

ჯუმბერი. ვისი ბრალია მაგას აღარა აქვს მნიშვნელობა. მეყო ბოლოს და ბოლოს, მეყო. აღარა ვარ მე კაცი, აღარა ვარ... მე ახლა გიჟი ვარ, გიჟი... **(ჯუმბერი ცოლს პალტოს გაძოსტაცებს და სადარბაზოს კიბეებზე ჩარბის)** ვნახოთ, ვინ გის...

იამზე. ჯუმბერ! ჯუმბერ! სად გარბიხარ, დაბრუნდი, უკან დაბრუნდი!

(რომ ვერაფერს გააწყობს, შინ შემობრუნდება, ხათუნა ამასობაში ამდგარა და საძინარეულოში გასულა). ხათუნა, სადა ხარ... რა მეშველება, მამაშენი იმ კაცის მოსაკლავად გაიქცა!

ხათუნა. ეს წყალი რომ დაგიდგამთ ამ გაზზე და მთლად დამშრალა, სტვენა მაინც არ გესმით?!

იამზე. ღმერთო ჩემო, ხომ შეიძლება, მართლა მოკლას?

ხათუნა. მოკლავს და მოკლას...

იამზე. რას ამბობ, ხათუნა, თუ ასეა, მაშინ ხომ მეც მოვიკლავ თავს...

ხათუნა. ღმერთო, რა ბედნიერება იქნებოდა... მამა ციხეში, დედა საფლავში... შვილი კი ლოგინში და იძინებდა და იძინებდა...

იამზე. ღმერთო, რა დაუნდობელი თაობა მოდის, რა დაუნდობელი.

ხათუნა. დედა ნანე, მამა ნანე...

იამზე. ხათუნა, რა ეცვა იმ ქალს? ჯინსის ქვედატანი, ხომ?

ხათუნა. ვაიმე, დედა, ცუდადა ვარ, გაიგე, ცუდად!

იამზე. აბა ერთი მოდგეზე და იმ სულელ მსახიობებზე დაგელაპარაკო, მაშინაც ცუდად გახდები?

ხათუნა. დედა, აღარ შემიძლია, ახლა მეც გავიქცევი, იცოდე, იმ კაცის მოსაკლავად.

იამზე. შენ რომ თავში ჭკუა გქონდეს, ლეკანს გაპყვებოდი ცოლად! მთელი ექვსი თვე კაცს სახლში თავის ლოგინში არა სძინებია, შენი სახლის წინ ათენებს და აღამებს ეგ საცოდავი. ნეტავ როგორა სძინავს იმ ერთი ბეწო მანქანაში მოკრუნჩხულს? მე რომ ასე ვინმეს ვყვარებოდი!

ხათუნა. ვერ გაგყვები მაგ კაცს, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ და შეიგნეთ. კაცი რომ ექვსი თვე შინ არ მიგა დასაძინებლად, სულ რომ უკან დამდევს და ერთი

სიტყვა ვერ უთქვამს, ერთი... რაც არ უნდა ბევრი ფული ჰქონდეს, რანაირად შეიძლება, რომ ის კაცი ნორმალური იყოს, რანაირად?

იამზე. მე რომ ვინმეს ასე ვუყვარებოდი!

ხათუნა. ვიცი, ვიცი, აგერ კაცმა ნიანგის ცრემლები გადმოყარა და ეს ორმოცი წლის ქალი, ლამის ფსიქიატრიულში მოხვდე.

იამზე. ოცდათვრამეტის.

კარი გაიღება და ოთახში ტახტი შემოგრიალდება, რომელსაც ელისო და ჯემალი აწვებიან. ელისო ფუნმძიმედაა.

ჯემალი. გამარჯობათ, ქალბატონო, თუ დაგვეხმარებით კარგს იზამთ!

იამზე. **(გაკვირვებული)** დაგეხმარებით?

ხათუნა. რა ხდება? ვისია? სად მოგაქვთ, რა მოგაქვთ?

იამზე. არ მესმის, გაგვაგებინეთ რა არის?

ჯემალი. მოითმინეთ, სულ ერთი წუთით გვაცალეთ! საჩუქარია.

(იხდის კურტკას).

იამზე. აღარ იტყვით რა ხდება ჩვენს თავს, რა საჩუქარია ასეთი?

ჯემალი. მოითმინეთ, ქალბატონო, ხომ ხედავთ, საახალწლო ნობათი მოგართვით.

იამზე. საახალწლო ნობათი? ვისგან ასეთი უშველებელი? ჩვენია ნამდვილად?

ჯემალი. დიახ, დიახ, თქვენია, თქვენი მეულღისანაა.

იამზე. ჯუმბერისგან? შემოიტანეთ, მაშინ, შემოიტანეთ, რაღას უყურებთ! რა კარგია? რა უნდა იყოს?

ჯემალი. გარეთ კიდევა გვაქვს რაღაც, ისიც შემოვიტანოთ?

იამზე. რა თქმა უნდა, შემოიტანეთ, აბა რა!

ჯემალი და ელისო გავლენ. იამზე და ხათუნა სულწასულები ახდიან თავს ტახტს და განცვიფრდებიან. შიგ რაღაც ძველმანები დახვდებათ. ჯემალი და ელისო ახლა რაღაც უშველებელ სკივრს შემოათრევენ და იმასაც კედელთან დადგამენ.

იამზე. ეგეც ჩვენია? ძველებურია? **(მიეა და სკივრსაც ახდის)** ფუჭ, ნაფტალინითაა სავსე!

ხათუნა. ნაფტალინით?

ამასობაში ელისო ოთახში თოკს გააბამს. ჯემალი ტახტიდან ტანსაცმელს იღებს და აწვდის. ელისოც ამ ყველაფერს თოკსა და სკამებზე გადააფენს. იამზე მათ განცვიფრებული შეჰყურებს, შემდეგ კი იკივლებს.

იამზე. რა ხდება გამაგებინეთ! რა ხდება ჩემს სახლში!? გაეთრიეთ ახლავე აქედან!

ჯემალი. რა? როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, თქვენ ალბათ იცით, სადაც მუშაობს თქვენი ქმარი.

იამზე. **(ამაყად)** აღმასკომში.

ჯემალი. ჰოდა, ბინას დაგვპირდა, ფული წინასწარ გამოგვართვა...

ელისო. შარშან ბინა თუ არა გვქონდა, ფული მაინცა გვქონდა და...

ჯემალი. ახლა აღარც ერთი გვაქვს და აღარც მეორე.

ელისო. თანაც იმედიც აღარა გვაქვს, რომ ფულს დაგვიბრუნებს. ბინას ვინღა ჩივის.

ჯემალი. ჰოდა, ამიტომ, სიმბოლურად რომ ვთქვათ, საკუთარ ჭერქვეშ გვინდა ახალ წელს შევხვდეთ.

იამზე. მეცოდებით.

ჯემალი. ბინას დაგვპირდა, მსოლოდ ოფიციალურად. უნდა სამსახურში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფორმებინე და შემდეგ ჩვეულებრივ... მაგრამ ფული წინასწარ გამოგვართვა, ეს თანხა სასწრაფოდ თუ არ დავდეთ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებაო. ჰოდა, მას მერე ყოველდღე ბინას ვიღებთ.

ელისო. რვა თვეა წორმალურად არა გვძინებია. თანაც ამან სამსახურიც მიატოვა. თავისთან უნდა გაეფორმებინა ვითომ...

ჯემალი. ვცხოვრობდით ჩვენთვის, წყნარად, ტკბილად. ვაგროვებდით ამ ფულს ეადსაცვლელად. მოვიდა ეს კაცი და ისე აგვიყირავა ყველაფერი... ცოტასაც ვაცილი და... ან ამ ბინას დამიმტკიცებს, ან ფულს მომცემს, ან მოვკლავ...

ელისო. ჰო, ჰო, რა იყოთ, რა დაგემართათ, ბოლოს და ბოლოს ჩემს ბინას დაგიმტკიცებთო, გეეუბნება. სად არის თვითონ?

ია მზე. მოიცათ, მოიცათ. ამ ერთი თვის წინ თქვენ ხომ არ იყავით ჩვენთან? **(ელისოს)** ვიცანი, ფუ, ფუ, ხმაზე ვიცანი. ხათუნა, ისაა ტელეფონზე რომ რეკავს, ფუ, ფუ.

ჯემალი. რა ფუ, ფუ, ქალბატონო!

ხათუნა. დედა, დე-და!

ია მზე. თუმცა თქვენ არც ცისფერი თვალები გაქვთ და ტანადაც ლამაზი ხართ.

ხათუნა. დედა. შენ ისევ იქ წახვედი? აქ ამხელა ტრაგედია გაქვს და, შენ მაინც შეხსას ლაპარაკობ? ეს რომ ყოფილიყო, მე ხომ ვიცნობდი, დედა!

ია მზე. მაშ ვინ იყო?

ხათუნა. დედა, დედა, დაანებე მაგაზე ფიქრს თავი, დაანებე.

ია მზე. ნამდვილად გივის ცოლი იყო, ის იქნებოდა...

ჯემალი. ასე რომ, უნდა გვაპატიოთ. ჯერჯერობით, ერთ ოთახს დავიკავებთ!

ია მზე. რომელ ოთახს დაიკავებთ, თქვენ რა?

ჯემალი. ქალბატონო! მკვდარს თუ გამიტანთ, თორემ... ცოტა კი არა გვაქვს გადახდილი.

ელისო. თორმეტი ათასი.

ია მზე. მერედა, ვის აძლევდით, რას აძლევდით, არ უნდა იკითხოთ? გიჟი ფანტავდა და ჭკვიანი კრეფდაო.

ჯემალი. ქალბატონო!

ია მზე. კარგით, თქვენ გამოუცდელები ხართ, ახალგაზრდები... პატრონი არა გყავთ ვინმე?

ჯემალი. ქალბატონო, ვინ გვაცალა, ან კითხვა, ან რაიმეს გაგება. ისე აგვირდავირია ტვინი, დღესე თუ არ შევიტანეთ ფული, ჩვენც დავკარგავთ ამ ბინას და თქვენც.

ია მზე. კი მაგრამ, მოსულიყავით ჩვენთან, ან ოჯახში გეკითხათ, ან მეზობლებში, ან სხვა გადამთიელთან, იქნებ აფერისტი იყო ეს კაცი.

ჯემალი. ქალბატონო, ისეთმა კაცმა გაგვაცნო, ისეთმა ახლობელმა, თვითონ ის კაცი ისეთი პატიოსანია, ეჭვიც არ შევგვპარვია.

ხათუნა. იქნებ უკეთებს ჯუმბერი ბინას?

ჯემალი. როგორ გეკადრებათ. რომელზედაც გვითხრა პირველად, იმ კორპუსში სამოთახიანები საერთოდ არ იყო. იყო მხოლოდ ერთოთახიანები და ოთხოთახიანები. მანდ დაარღვიეს პროექტიო, ეგაო, სხვა ორგანიზაციას მისცესო. და გვერდით კორპუსში დაგვპირდა. ყოველდღე დავდიოდით. ბოლო ოჯახის შესახლებამდე გვჯეროდა... მერე ფული მოეთხოვეთ... დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და, რომ არ გაჭრა არაფერმა, ახალი ტაქტიკა ავირჩიეთ.

ია მზე. ჩემთან მაინც მოსულიყავით, გეთქვათ, გეკი ხათ!

ჯემალი. არ მოვიქცეოდით ასე, მაგრამ გუშინ ძოვედით, მეზობლებში გავიკითხეთ და...

ელისო. რა დაგკარგვიათ, რას ეძებთო?!

ჯემალი. აფერისტიაო. თქვენსავით რამდენი დასდევს, მაგრამ ვერაფერს გამხდარანო... ჩვენც გადავწყვიტეთ, ფული თუ არა... იქნებ ბინა მაინც დაგვრჩესო და...

იამზე. ჩაწერილები ხართ კი თბილისში? ვისი ბინა უნდა დაგრჩეთ, რა უნდა დაგრჩეთ. რა სისულელეებსა ბოდავთ. ჩვენ რას გვიპირებთ, მერე, უსახლკაროდა გვტოვებთ? პირველი შეცდომა, რომ აიღეთ და ვიღაც აფერისტს ფული ჩაუჯიბეთ. მეორე კიდევ უარესი, სხვის ბინაში გსურთ ცხოვრება. ერთიც სისხლის სამართლის დანაშაულია და მეორეც.

ხათუნა. საბუთი გაქვთ რაიმე?

იამზე. ჰო, მართლა, საბუთი, ან ხელწერილი გაქვთ? ნოტარიუსით დამტკიცებული.

ჯემალი. ხელწერილი? ხელწერილი რომ გვქონოდა, მაშინ აქ კი არა, სასამართლოში წავიდოდით.

იამზე. სასამართლოში? აბა აიკრიფეთ ახლავე თქვენი გუდა-ნაბადი და მოუსვით აქედან! ჩვენ რა შუაში ვართ, ვისაც ფული მიეცით, პასუხიც იმას მოთხოვეთ! **(აუფრიალებს ტანისამოსს).**

ჯემალი. ქალბატონო, ასე ცივად ნუ მსჯელობთ. მე თუ თავს ძალას ვატან და ასეთი მხიარული ტონით გესაუბრებით... და არა, რომელიმე სამსართულიან დიალექტზე, თქვენც თავი ხელში აიყვანეთ, კეთილი ინებეთ და ან აგვიტანეთ, ან მოგვეცით ჩვენი ფული და გაგვათავისუფლეთ!

ხათუნა. შენ თუ სამსართულიანები იცი, ჩვენ ცხრასართულიანები ვიცით... ვინა ხართ, რა ხალხი ხართ, საიდანა ხართ! გვემუქრებით კიდეც? რა კულტურაა არ მესმის.

ჯემალი. რაო, ბოდიშებით გესაუბროთ? იქნებ დაგიჩოქოთ კიდეც?

ხათუნა. გადარევა შეიძლება.., ეე, დღისით-მზისით საკუთარ სახლში შემოგისახლდნენ, გაბრტყელდნენ, ის კი არა, შუა ოთახში სარეცხიც კი გაგვიფინეს და მადლობა უნდა თქვათ, რომ დედას არ გაგინებთ და არა გცემავთო.

იამზე. ხათუნა, გაჩუმდი!

ხათუნა. დედა, მე გავჩუმდე კიდევ?

ჯემალი. აი მესმის ზრდილობა.

იამზე. რა თქვენი საქმეა ბოლოს და ბოლოს.. რომელ ზრდილობაზე გვითითებთ... ვინ მოგცათ ამდენის უფლება?

ჯემალი. თქვენმა მეუღლემ.

ხათუნა. ამათ თუ ასე გააგრძელეს, მალე ალბათ მოახლეებადაც გვაქცევენ.

იამზე. მოახლეებად? ვის, ჩვენ? **(აკივლდება)** ახლავე წაეთრიეთ აქედან, ახლავე! ხათუნა, ჩქარა, დარეკე მილიციაში, საბუთი მაინც არა აქვთ, ვერაფერს გვიზამენ.

ელისო. მილიციაში? ჯემალ, გაიხადე! **(ელისო ჯემპრს გადაიძრობს და ჯემალს პერანგის ღილებს შეხსნის. ჯემალი მიუხვდება და ისიც სწრაფად იწყებს გახდას. ელისო ტახტზე წვება).**

ხათუნა. ეე, რასა შვრებიან?

ელისო. ქალბატონო, ჩვენ რვა თვეა ერთად არა ვწოლილვართ, რვა თვე. მოდი, ჯემალ! **(ჯემალი შარვლის ქამარს შეიხსნის და ელისოს დაემხობა).**

იამზე. ვაიმე, ღმერთო ჩემო. ხათუნა, გადი აქედან ჩქარა, გადი მეორე ოთახში, დახუჭე თვალები, დახუჭე ჩქარა! გადი!

იამზე ხათუნას გაათრევს. ელისო და ჯემალი მარტონი რჩებიან.

ელისო. მეშინია.

ჯემალი. შენ რატომ გეშინია, შენ ხომ არ წაართვი ფული, მაგათ წაგვართვეს, მაგათ ეშინოდეთ!

ელისო. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს ყველაფერი სიზმარია და მინდა გა-ვიღვიძო, ვწვალობ, ვცდილობ, მაგრამ ვერ ვიღვიძებ. ან ეს ბინა უნდა დავგიმტკიცოთ *(პიპაძეს)*... ვინ დაგიმტკიცებს ამ ბინას, ვინ?

ჯემალი. რაღაცით ხომ უნდა შეაშინო, ხომ ხედავ, ის კაცი არ იძლევა ისე ფულს. არაფერმა არ გაჭრა, არც ცემამ, არც მუქარამ.

ელისო. მე საშინლად მომშივდა.

ჯემალი. შენ ჩემი უნდა იკითხო. რა გქნათ?

ელისო. არ ვიცი!

ჯემალი. წამოდი სამზარეულოში. ვითომ შინა ვართ, წამოდი!

ჯემალი და ელისო სამზარეულოში გავლენ. შემოვა იამზე, მას თვალებზე ხელი აუფარებია.

იამზე. ახლავე წაეთრიეთ აქედან, ახლავე! **(ხელს ჩამოიღებს და გაკვირვებული ძოთვალიერებს ბინას. დაინახავს რომ სამზარეულოში არიან).** ხათუნა! ხათუნა! **(ხათუნა გამოვა).**

ხათუნა. სად წავიდნენ?

იამზე. რა გვეშველება, სამზარეულოს ჩხრეკენ.

ხათუნა. რა?

იამზე. ხათუნა, მითხარი რა ხდება, გამაგებინე, შენ რას ფიქრობ? იმისი მოგ-ვანლები უნდა იყვნენ ხომ?

ხათუნა. დედა, შენ გესმის რას ამბობ?!

იამზე. ხათუნა, დამიჯერე, იმისი მოგზავნილები არიან. იმისი.

ხათუნა. დედა, რა სისულელეებს ამბობ, რა სისულელეებს. ვითომც არ იცი, რომ არ არსებობს რაიმე გარეწრობა, რომელიც შენს ქმარს არ ჩაედინოს. ატყუებს ამ ბავშვებს, დედა, გესმის, ატყუებს.

იამზე. ხათუნა, არ დაიჯერო, ამ საქმეზე მაგან დიდი ხანია ხელი აიღო, ეს იმის ამბავია. ის ისეთი კაცია, ყველგან ნაცნობები ჰყავს, ყველგან.

ხათუნა. დედა, დაფიქრდი, შენ უკვე... დედა, შენ არანორმალურად აზროვნებ. როგორ გითხრა... შენ ალბათ დასვენება გჭირდება. ყველა წყალს წაუღია, შენი გივიც, ეგენიც, მამაჩემიც... დაანებე ყველაფერს თავი. დედა, გთხოვ, დედა, მე მისმინე, სად წახვედი ფიქრებში, დედა. რაღა დროს შენი სიყვარულია. ჩამოდი ბოლოს და ბოლოს მიწაზე, ჩამოდი...

იამზე. შენ მე ნუ მასწავლი, გესმის?

სამზარეულოდან ჯემალი გამოისედავს.

ჯემალი. ქალბატონო, სამზარეულოში ინდაური, გოჭი, ქათმები, ყველაფერი გასაშრადებელია, ხომ არ გეწყინებათ, რომ ცოტა ხელი წაგაშველოთ? აი ელისო შვენიერი კულინარია. თითებს ჩაიკვნეტთ.

იამზე. ისე მოიქცით, როგორც საკუთარ ოჯახში... ღმერთო, რა ბედნიერებაა, როდესაც ქალს საოჯახო საქმეები ეხერხება.

ხათუნა. გადავირიე, თითქოს მართლაც ხაკუთარ ოჯახში არიანო.

ჯემალი. ხმელი სუნელი არა გაქვთ?

იამზე. ვერცხლის თასშია, კარადის ზედა თაროზე, მარჯვენივ.

ჯემალი. ძალიან კარგით!

ჯემალი გაუჩინარდება. ხათუნა მხრებს აიჩეჩს. ისმის ზარის ხმა კარზე. იამზე შეკრთება და კარის გასაღებად წავა. ზღურბლზე ორი მანდილოსანი დგას. ოცდათხუ-ტმეტიოდე წლისანი. ნელი და ლილი.

ნელი. ჯუმბერი აქ ცხოვრობს კილაძე? **(ნელი ენას უკიდებს და ამიტომ ლილის ხშირად თარჯიმნივით უწევს მისი ნათქვამის გამეორება).**

იამზე. რა?

ლილი. (დამარცვლით) ჯუმბერი აქ ცხოვრობსო, კილაძე?

იამზე. დიახ.

ნელი. თუ შეიძლება, სხვოვეი ერთი წუთით.

იამზე. რა?

ლილი. სხვოვეთო ერთი წუთით.

იამზე. შინ არ გახლავთ.

ნელი. შინ არ არის? სადაა, მალე მოვა?

იამზე. რაო?

ლილი. სად არისო, მალე მოვაო?

იამზე. ვერ გეტყვით, გავიდა რაღაც საქმეზე და...

ნელი. **(ლილის).** რა ვქნათ?

ლილი. არ ვიცი.

ნელი. **(იამზეს).** იცით რა? დავლოდებით. თუ არ შეწუხდებით. ისეთი საქმე გვაქვს, გადადება აღარ შეიძლება.

ლილი. ისეთი საქმე გვაქვს, გადადებას აღარ შეიძლებაო... **(შემოვლენ და რაგორც არიან თბილად გამოწყობილნი ასევე ჩამოსხდებიან ჯუმალის შემოგორებულ ტახტზე).**

იამზე. დაელოდეთ, დაბრძანდით.

ხათუნა. **(გვერდით მიუსკუპდება სტუმრებს).** თქვენ მამას უნდა დაელოდოთ?

ნელი. **(ნერვიულად).** დიახ, დიახ, დიახ! **(სიგარეტს გააბოლებს).**

ხათუნა. მამა?!

ნელი. რა მამა, რა, არ მოვა?

ხათუნა. ვერ გეტყვით. იქნებ არც მოვიდეს.

ლილი. ახალ წელს ყველა შინა ხდება და...

ნელი. ჯუმბერია გამონაკლისი?

ხათუნა. აუცილებლად პირადად უნდა ნახოთ? ხომ ვერ გადაეცემით?

ნელი. **(ღიმილით)** ვერა, ვერა, ვერ გენდობით.

ხათუნა. თქვენ ალბათ მისი სამსახურიდანა ხართ.

ნელი. არა, არა, არა!

ხათუნა. არც თქვენ?

ლილი. არა!

ხათუნა. აბა საიდან?

ნელი. არსაიდან, უბრალოდ საქმე გვაქვს.

ხათუნა. ჩვენთან თქმა არ შეიძლება? საიდუმლოა?

ნელი. საიდუმლოა. წამოდი, ლილი!

წამოდგებიან და გასვლას დაააპირებენ.

იამზე. მიდიხართ?

ნელი. თხუთმეტ წუთში ამოვალთ, მანქანას გავუშვებთ.

იამზე. ვერ გავიგე?

ლილი. **(დამარცვლით)** თხუთმეტ წუთში ამოვალთო, მანქანას გავუშვებთ.

ნელი და ლილი გავლენ. იამზე ხათუნას მივარდება.

იამზე. ხათუნა, ისინი არიან ხომ, მაშინ რომ იყვნენ?

ხათუნა. სწორედ ისინი ბრძანდებიან. შენი სჯერ წასულია.

იამზე. რაო!?

ხათუნა. რაო, რაო... ხომ დარწმუნდი, რომ მამას სამსახურიდან არ არიან, თანაც ენაზე კბილს ისე აჭერენ, ვერაფერს ვერ ამოქმევინებ.

იამზე. ჯუმბერი თუ მოგვა, შინ არ უნდა შემოვუშვათ!

ხათუნა. რას ამბობ, დედა, პირიქით, მამამ ისედაც ყველაფერი იცის...

იამზე. რა ყველაფერი, ხათუნა!

ხათუნა. აბა, მოატყუე? უღალატე?

იამზე. ხათუნა, კაცია მაინც, ამათ რომ ახლა თავისებურად გაუფორმონ! რა იცი რას ეტყვიან? რაღა დღეს?

ხათუნა. იქნებ სულაც სულ სხვები არიან, ჯერ გაგვეგო.

იამზე. რომ მოგატყუონ?

ჯემალი. **(სამზარეულოდან გამოისედავს).** ტყლაპი არა გაქვთ? **(თან ხელში ფილთაქვა უჭირავს და ნიროს ნაყავს).**

იამზე. ტყლაპი? **(დაიმანჭება)** ხათუნა, ტყლაპი გვაქვს?

ხათუნა. ტყლაპი არა...

იამზე რაღაცას მოიფიქრებს, ჯემალთან მივა და ხელს მეგობრულად მოკიდებს.

იამზე. ჯემალ, მოიცა, მომისმინე! შენ უნდა გამოგო ვინ არიან...

ჯემალი. **(მამოსნედავს)** ვისზე ამბობთ?

იამზე. ახლა რომ ამოვლენ. უნდა გამიგო, ვინ არიან, საიდან არიან და, საერთოდ, რა უნდათ?

ჯემალი. ნიგოზი რომ ვერ ვნახეთ?

იამზე. რა დროს ნიგოზია, ჯემალ, იცი რა ღირს ნიგოზი?

ჯემალი. ვინ უნდა იყვნენ მაინც, რა გვინდაო, არა თქვენს?

იამზე. არა, ჩვენ არ გვეთხრეს, ჯუმბერს ელოდებიან.

ჯემალი. აუჰ, თუ მაგათაც ფული უნდათ?

იამზე. ფული? ეგეც გაიგე!

ჯემალი. როგორა გკითხო?

იამზე. რა? მე უნდა გაიკარნახო ეგ, ბიჭო?

ხათუნა. ჯემალ, იცოდე, დედაჩემს ყველაფერი ეჩვენება.

იამზე. მეჩვენება? ღმერთო, ეს რა დაუნდობელი თაობა მოდის. ჯემალ, დაჯექი აქ. კარგად მომისმინე. ერთი ჩემი მეგობარი ქალი... პატიოსანი... ძალიან პატიოსანი... შეიყვარა მისმა დირექტორმა... მე რა თქმა უნდა, მოკრძალებით ვუთხარი უარი გივის... მე კი არა, ჩემმა მეგობარმა ქალმა. ჰოდა, ახლა ამ ორში, ერთი იმ დირექტორის ცოლი უნდა იყოს.

ჯემალი. აააა. გაგაგდო?

იამზე. არა, კი არ უნდა გააგდო, შენ უნდა გამიგო, მართლაც ისაა თუ სხვა ვინმე, გესმის?

ჯემალი. ააა

დაღლილი სახეებით შემოვლენ ლილი და ნელი და ტახტზე ჩამოსხდებიან.

ჯემალი. **(სტუმრებს მიუახლოვდება).** თქვენ ალბათ კარტის გაშლა გეცოდინებათ, არა?

ლილი. მე არ ვიცი.

ნელი. არც მე. ალბათ თქვენ უფრო გეხერხებათ!

ჯემალი. გინდათ გაგიშალოთ?

ნელი. არა!

ჯემალი. ხათუნა, კარტი!

ხათუნა. **(გაკვირვებული)** საიდან იცის ამ კაცმა ჩემი სახელი?

იამზე. ჯუმბერი ეტყოდა.

ხათუნა. **(ეძებს კარტს)** დედა, სამზარეულოში მაინც გადი, დახედე რას შვრებიან. ეგეც დაჭექეს იქაურობა, არ უნდა ნახო?!

იამზე. შენზე და ჩემზე კარგად კიდევ მოუვლიან როგორმე.

იამზე სამზარეულოში გავა. ხათუნა კი კარტს მისცემს ჯემალს, რომელიც სტუმრებთან მოკალთდება. იამზე სამზარეულოდან ფინჯანებით გამოვა და მათთან ანლოს დადგება.

ჯემალი. თქვენი სახელი.

ლილი. ლილი.

ჯემალი. თქვენი?

ნელი. დავუშვათ ნელი, დავუშვათ.

ჯემალი. სასიამოვნოა. ჯემალი! პირველად რომელს გაგიშალოთ?

ნელი. სულ ერთია.

ჯემალი. **(ნელის)** თქვენ, გათხოვილი ხართ?

ნელი. მაქვს ბედნიერება, მაქვს.

ჯემალი. გულის დამა. ოჰ... შეხვედრა გაქვთ ვილაც ქალთან და კაცთან. გზა გაქვთ ღამის... მგზავრობა... რაღაც ცუდ ამბავს გაიგებთ შორიდან.

ნელი. ძალიან შორიდან?

ჯემალი. ჰო, ძალიან შორიდან.

ნელი. ვაიმე, ლილი, მიშველე!

ლილი. ამისი ქმარი წასულია, გაიანაში.

იამზე. გაიანაში?

ლილი. ჰო, ქვეყანაა ასეთი, ლათინურ ამერიკაში. უკვე ორი თვეა.

იამზე. **(გახარებული).** მართლა?

ლილი. თქვენ რატომ გაგიხარდათ?

ჯემალი. **(ლილის).** აი თქვენ კი ქმარი გღალატობთ.

ლილი. **(გადაიხარხარებს და უცებ გაჩუმდება)** მყოლოდა და ეღალატა თუნდაც. ვაიმე, ნელი, ანზორი... **(საათზე დაიხედავს).** ვიღუპები, ისევ ვერ შევხვდები ანზორს. ნაბე რომელი საათია.

ნელი. შეხვდები, აბა სად წავა, სად?

ჯემალი. იცით რა? თქვენ ფულსა კარგავთ, ძალიან ბევრ ფულს.

ნელი. რა? ბევრი ფული რომ დაკარგო, უნდა გქონდეს კიდეც.

ჯემალი. აღარა გაქვთ?

ნელი. თქვენ რა ცნობისმოყვარე ყოფილხართ...

ლილი. რა გვეშველება?

ჯემალი. რა, თქვენც კარგავთ ფულს?

ნელი. თქვენ რა ხართ ჯუმბერის?

ჯემალი. ღვიძლი ბიძაშვილი ვარ, ალალი.

ნელი. ადექი, ლილი, წავიდეთ! **(ჯემალს)** უშნო ხუმრობა გცოდნიათ.

ლილი. სად წავიდე, სად? თხუთმეტ ათასსა ვკარგავ, გესმის შენ? ბინა დავკარგე, ფული დავკარგე, ახლა ანზორიც დავკარგო?

ნელი. ქალბატონო, არ მოვა ბოლოს და ბოლოს ჯუმბერი, გაგვაგებინეთ!

იამზე. რა?

ლილი. რა და მოვაო, ჯუმბერი, თუ არაო...

იამზე. როგორ, თქვენ ჯუმბერს მიეცით თხუთმეტი ათასი?

ლილი. დიახ, დიახ, ჯუმბერს. ბინას დამპირდა...

ჯემალი. ეჰეე.

ნელი. **(ლილს)** წინასწარ არ უნდა მიგეცა... ჯერ ბინა, მერე ფული. მე მაგალითად მოვიტანე, მაგრამ აღარ მიეცემ. მე მივდივარ, შენ? მთელი დღე შინ ვიქნებიო, მოდი და ენდე ამისთანებს. **(ორივე ჩქარი ნაბიჯით გაემართებიან კარისაკენ. ნელის ჩანთა დარჩება ტახტზე, რომელსაც ჯემალი სტაცებს ხელს).**

ჯემალი. ქალბატონო, ჩანთა დაგრჩათ.

ნელი. ვაიმე, ლილი, ფული.

(ნელი და ლილი ჯემალს ეძგერებიან, ჩანთას გამოსტაცებენ და გაბრაზებულ, ბი ჩხუბობენ).

ლილი. ქალაჩუნა!

ნელი. სად მომიყვანე, ლილი, აქ, ვისთან მომიყვანე. წამოდი, წამოდი!

ლილი. სად წამოვიდე, სად! თხუთმეტი ათასი წყალში გადავყარო? ფეხს არ გავადგამ არსად, აი აქ დავჯდები და ვიჯდები, სანამ ბინას არ მომცემენ, ან ფულს არ დამიბრუნებენ.

ჟლისო. **(გამოვა სამზარეულოდან)** ჯემალ! რა ხდება?

რეკავს შემოსასვლელი კარის ზარი.

ხათუნა. დედა, დედა, გააღე, ალბათ მამაა.

იამზე. **(მიდის კარის გასაღებად)** ეს ნამდვილად ჯუმბერია, კარგია, რომ არ წახვედით.

დირეს ცოცხლად გადმოაბიჯებს ორმოციოდე წლის მამაკაცი, ექიმი — ნევროპათოლოგი. ცალ ხელში საექიმო ჩანთით. — მეორეში პირადობის მოწმობით.

ექიმი. ახალი წელი მოძილოცავს.

იამზე. როგორ უკვე ახალი წელია?

ექიმი. წინასწარ გილოცავთ.

იამზე. წინასწარ?

ექიმი. ჩემმა შეფმა მითხრა, თუ დღეს საღამოს ანგარიშს არ ჩამაბარებ, სამსახურიდან მოგხსნიო.

იამზე. ანგარიშს?

ექიმი. დიახ.

იამზე. როგორ, თქვენი ვალიცა აქვს ჯუმბერს?

ორივენი შუა ოთახისაკენ წამოვლენ. ნელი და ლილი რომ დაინახავენ უცნობ მამაკაცს საბუთით ხელში, შეშინებულები წამოხტებიან. ნელი ჩანთას ტახტზე მოისვრის.

ლილი. დავიღუპე, ნელი.

ნელი. შენ ჩუმად...

ექიმი. არა, მე ექიმი ვარ, ექიმი გივი გაგნიძე.

ხათუნა. დედა, გივი?

იამზე. აჰ, არა! **(ამრეზით შეხედავს შემოსულს).**

ჯემალი. ექიმს კი არ უნდა ბინა?

იამზე. მივხვდი, მივხვდი. თქვენ ალბათ საახალწლოდ გვესტუმრეთ, არა? ჩვენთან გინდათ შეხვედეთ ახალ წელს. დარჩით, დარჩით.

ექიმი. გმადლობთ, ქალბატონო, საღამოს სიდედრთან ერთად გესტუმრებით...

ლილი. ნელი, ანზორიც მოვიყვანოთ რა? ქალბატონო, შეიძლება ანზორიც მოვიყვანოთ?

იამზე. ანზორი? მოიყვანეთ, მოიყვანეთ.

ექიმი. ახლა კი მოემზადეთ, ყველა სათითაოდ უნდა გაგსინჯოთ.

ყველა. გაგვსინჯოთ? **(აქეთ-იქით გაიფანტებიან).**

ექიმი. **(იამზეს)** თქვენით დავიწყოთ, თქვენ ალბათ დიასხლისი ხართ, არა?

იამზე. მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, მე არაფერი მჭირს გასასინჯი?

ექიმი. მითუმეტეს.

იამზე. ვაიმე, ნელი, ლილი, მიშველეთ **(გაიქცევა და მათ შუა ჩადგება).**

ნელი და ლილი. ნუ გეშინიათ, აქა ვართ.

ლილი. ნუ გეშინიათ, აქა ვართ.

ექიმი. რატომ შეშინდით? როგორც ჩანს თქვენ მე ვერ გამიგეთ. აბა დაბრძან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, დაბრძანდით ყველანი, ახლავე აგიხსნით. **(ყველანი ჩამოსხდებიან. ექიმი კი პათეტიკურად განაგრძობს).** როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს რესპუბლიკაში გამუდმებით მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიებანი. როგორებიცაა: მცენარეთა დაცვის ერთთვიური, ძეგლთა დაცვის ორთვიური, საგზაო უსაფრთხოების ორთვიური. მხატვრის კვირეული, ჩაის კვირეული...

ლილი. თეატრი და ბავშვები.

ექიმი. ბავშვები და მუსიკა, ყვავილების დღესასწაული, სხვადასხვა ფესტივალები და ოლიმპიადები... და კიდევ თევზის დღე. ჰოდა, ამიტომ უნდა გაგცნობოთ.

ხელი. თქვენ რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ბრძანდებით და რა ღონისძიებებს ატარებთ?

ექიმი. რა ბრძანეთ?

ლილი. თქვენ რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ბრძანდებითო და რა ღონისძიებებს ატარებთო? მე მაგალითად, სამსახურში წყალში დამხრჩვალთა საზოგადოების... დამხვრჩვალთა კი არა, წყალწაღებულთა გადამრჩენი საზოგადოების თავმჯდომარედ ამირჩიეს...

ექიმი. სასიამოვნოა.

ლილი. მაგრამ ცურვა არ ვიცი.

ჯემალი. თქვენ, თქვენ რა ღონისძიებებს ატარებთ მაინც?

იამზე. **(იკივლებს).** გამაგებინეთ რა ხდება, რა ხალხი ხართ, რაზე ლაპარაკობთ?! **(ყველანი დაფეთდებიან. ექიმიც დაიბნევა. იამზე მოუბოდიშებს).** უკაცრავად, უკაცრავად, თქვენ განაგრძეთ, განაგრძეთ!

ექიმი. რას ვამბობდი? ჰო, ალბათ იცით, რომ მიმდინარეობს მოსახლეობის საყოველთაო სახალხო შემოწმების ერთთვიური, უკაცრავად ორთვიური. ჰოდა, დღეს ბოლო დღეა. **(იღებს ჩანთიდან ფურცლებს და ყველას სათითაოდ აწვდის).** აი, ეს ანკეტები უნდა შეავსოთ.

(ანკეტებს ჩამოარიგებს და ბრძნული გამომეტყველებით მოკალათდება სავარძელში).

ნელი. მე ვერ შევავსებ, მე სტუმარი ვარ.

ლილი. მეც...

ექიმი. არა აქვს მნიშვნელობა...

იამზე. **(კითხულობს)** გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი... შეავსეთ... აქეთ წამოდით, აქეთ! **(ექიმისაგან მოშორებით დასხამს).** აქ დასხედით და შეავსეთ! **(თვითონ კი ექიმთან მივა).**

ექიმი. თქვენ უკვე შეავსეთ?

იამზე. ჯერ არა. თქვენ, როგორც ჩანს, ჩვენი უბნის ფსიქიატრი ბრძანდებით, ხომ?

ექიმი. ნევროპათოლოგი.

იამზე. ძალიან გთხოვთ, კარგად მომისმინოთ.

ექიმი. ბრძანეთ, მე გისმენთ!

იამზე. ერთი ჩემი მეგობარი ქალი, საოცრად სუფთა და პატიოსანი, უაღრესად პატიოსანი, შეიყვარა მისმა დირექტორმა...

ექიმი. ძალიან კარგით...

იამზე. ხათუნა, ხათუნა, მოდი ერთი წუთით.

ხათუნა. არ მომასვენო ერთი, რა გინდა, რა არის?

იამზე. ხათუნა, ბატონი გივი, ჩვენი უბნის ფსიქიატრია.

ექიმი. ნევროპათოლოგი.

იამზე. ხათუნა, მოუყევი, დაწვრილებით უამბე ყველაფერი.

ექიმი. ქალბატონო, თქვენი სახელი?

იამზე. იამზე.

ეძიმი. იაც და მზეც? ქალბატონო იამზე, ამ ანეტების გამო სამი დღე არ მძინებია....

იამზე. ჯერ მოგვისმინეთ და შემდეგ ჩემს ოთახში მოგასვენებთ.

ეძიმი. არა, ძილი კი არა, მშია, მშია. ყველი და პური არა გაქვთ?

იამზე. ელისო, ჯემალ! გაეუმასპინძლდეთ სტუმარს, ვაჭამოთ რამე! ხათუნა, შენ მოყევი.

ხათუნა. როგორ დაიწყო? **(ჩაფიქრდება)** ერთ დღეს დედა მოვიდა და მითხრა...

ეძიმი. საიდან მოვიდა?

(ელისო და ჯემალი საჭმელს გამოუტანენ ეძიმს, ისიც ჭამს და ისმენს).

ხათუნა. სამსახურიდან, საპროექტო ბიუროში მუშაობს, სასოფლო მშენებლობის. ფერმებს, საღორეებს და სხვა ასეთ ობიექტებს აპროექტებენ. ერთ დღეს სამსახურიდან ძალზე განერვიულებული დაბრუნდა. ადვილად შევატყვე. ჯერ ფეხსაცმელი გაიძრო და მაცივარში შეინახა. მერე, გარეცხილი, გამშრალი სარეცხი ჩამოხსნა აოკიდან და თავიდან დაუწყო რეცხვა. ჩავაცივდი რა მოხდა-მეთქი და ბოლოს და ბოლოს მითხრა...

იამზე. ნახაზზე წვიმიწერეს გ პლიუს ის უდრის ს-სო.

ამ დროს ეძიმს ლუკმა ყელში გადასცდება და ლამის დაიხრჩოს. ჯემალი ბეჭებზე დაჰკრავს ხელს.

ხათუნა. ჰოდა აქედან დაიწყო. მეორე დღეს გასაღები დაუმალეს და თავის ოთახში ვეღარ შევიდა. მესამე დღეს ტელეფონზე დაურეკეს. მერე სკამი დაუმალეს. მერე ვითომ იბარებდნენ აქა-იქ და უარს ეუბნებოდნენ არ დაგვიბარებიხარო. მერე კაბის ნაჭერი დაკარგა თითქოს სახლიდან... და რა ვიცი... ისე ნორმალურია სხვა მხრივ...

ეძიმი. მკურნალობა მაინც საჭიროა. მაგ დაავადებას სიმბოლიზმი ჰქვია. ავადმყოფი რაიმე საგანს სულ სხვა დანიშნულებას მიაწერს.

იამზე. სიმბოლიზმი?

ეძიმი. როგორ აგიხსნა, მაგალითად, სადარბაზოში დამხრჩვალი კატა რომ ნახოს, იფიქრებს, — ეს კატა ჩემს მტრებს ჩემს შესაშინებლად დაუხრჩვიათო. მოკლედ ყველაფერს მტრებს დააბრალებს, პალტოზე ღილი რომ ასწყდეს, გაზქურიდან რძე რომ გადმოუვიდეს, დილას რომ ტრანსპორტმა გაასწროს და შიგ ვერ ჩაჯდეს... **(ამ ამბის თხრობისას ეძიმს ჩაეძინება და ხვრინვას ამოუშვებს).**

ჯემალი. ჩაეძინა.

იამზე. თქვენ რა, ეს ქონდრის კაცი, მართლაც ეძიმი გგონიათ? არ დაიჯერო, ხათუნა, მოგზავნილია, ნამდვილად მოგზავნილია. ხომ გითხარი, ჩემმა პროექტმა რაც კონკურსში გაიმარჯვა, მას მერე მთელი თანამშრომლები გადამეკიდნენ. რა, არა გჯერათ? ისიც კი შურთ, რომ ჩვენს დირექტორს მე მოვწონვარ.

ხათუნა. დედა.

ხელი. ეს კაცი სადღაც მინახავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

იამზე. აი, ხომ ხედავ, ესეც მე ვარ? ნელისაც უნახავს სადღაც.

ხათუნა. რას ლაპარაკობ, დედა, რას?! ღმერთო, ასეთი არაფერი მსმენია.

იამზე. კაცი რომ ვიყო, მამაშენს ისე გადავუშვებდი მეშვიდე სართულიდან, თვალსაც არ დავახამხამებდი. ფსიქიატრიულში მიპირებს გასტუმრებას. ეს არ კმარა, რომ შინ რეციდივისტებს მიგზავნის და მათ დანახვაზე ციებიანივით მაჟრიალებს?! არა... აღარ შეიძლება ასე ცხოვრება, არა...

ხათუნა. მართალია, უნდა იმკურნალო, ასე თქვა ექიმმა.

იამზე. რა? სად?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხათუნა. სად და საავადმყოფოში. სად მკურნალობენ ავადმყოფებს.

იამზე. მე ვარ ავად?

ხათუნა. დედა, ავად რომ არ იყო... რაღა დროს შენი სიყვარულია...

იამზე. კარგი, კარგი, გაჩუმდი, საიდან მოიტანე ეგ სისულელე... მიყვარს, ჰო, საშვილოში ჯადოსნური ბალახი ჩამიყარა. შევჭამე და შემიყვარდა, არა? **(რეკავს ტელეფონი)** ხათუნა, არ მიეკარო!

ხათუნა. **(იღებს ყურმილს, იამზე შემკრთალია).** გისმენთ... იამზე? გთხოვთ!

ხათუნა ყურმილს აწვდის იამზეს. იამზე თმებზე ხელს გადაისვამს, მზრებში გასწორდება და ყურმილს ჩამოართმევს.

იამზე. გისმენთ. ჰო, ბატონო გივი, მე ვარ, იამზე ვარ... თქვენთან? პროექტებით და ნახაზებით?.. მესმის, გენგეგმაც უნდა წამოვაყოლო? ახლავე? ინდივიდუალური პროექტი ტიპიურად უნდა გადაკეთდეს? მოვალ. დიახ... მესმის... არ დამავიწყდება... რა დამავიწყებს... წამოვიღებ... ყველაფერს წამოვიღებ. **(დედებს ყურმილს)** ძღერთო, რა შშვენიერი, რა დიდებული რამ მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში. სოფელში ჭაბურღილი დაარტყეს და ცხელმა წყალმა ამოხეთქა. მერედა, რამდენი რამ შეიძლება გაკეთდეს. სათბურები, აბანოები, კურორტები...

ხათუნა. დედა, შენ დარწმუნებული ხარ, რომ მაგის გამო გიბარებს?

იამზე. აბა?

ჯემალი. იქნებ საახალწლოდ უნდა დაგასაჩუქრონ?

იამზე. დამასაჩუქრონ? ვინ, გივიმ?

ხათუნა. დიახ, დიახ, გივიმ!

იამზე. რა ვქნა?

ხათუნა. შენ რა, მართლა აპირებ წასვლას? შენ რა, ვერა ხედვები რატომ გიბარებს? დედა, შენ ვერსადაც ვერ წახვალ!

იამზე. რატომ?

ხათუნა. ვაიმე, დედა, რა მიამიტი ხარ, რა მიამიტი.

იამზე. არა, უნდა წავიდე. ამის გამო შეიძლება ყველა პრემია მოხსნან.

ხათუნა. მაშინ მეც წამოვალ. დედა, გონს მოდი, რაღა დროს შენი სიყვარულია, დედა.

იამზე. ეგღა მაკლია, შენ მიკარნახო, როგორ მოვიქცე, სად წავიდე და რა ვილაპარაკო. ბინას ვის უტოვებ? ამათ?

შემოდის ელისო ტაფით ხელში.

ელისო. წყალი დაწყდა.

იამზე. კი არ დაწყდა, შეწყდა. შეწყდა და შეწყდეს.

ელისო. არცერთი წვეთი არ გვიდგა არაფერში.

ჯემალი. ოცდათერთმეტში რომ წყალს დაგიწყვეტავენ...

იამზე. **(ჯემალს)** ჭურჭელს აიღებ და ჩახვალ. მოდი დაგანახვო. **(ჯემალს ფახჯარაში გადაახედებს)** ტელეფონის ჯიხურს ხომ ხედავ. გვერდზე ხედავ ონკანს?

ჯემალი. ეს ამხელა რიგი წყალზეა?

იამზე. წყალზეა.

ჯემალი. სამსაათიანი მაინცაა.

იამზე. შეიძლება მეტიც.

ჯემალი. ჩაგალ ახლავე თორემ მაგ ხალხს კიდევ მიემატებიან. **(ჯემალი სამზარეულოში გავა)** აბა ვინ მოდის წყალზე?

ხელი. წამო, ლილი, ჩავიდეთ. მივეხმაროთ.

ლილი. ჩავიდეთ! **(გადიან სამზარეულოში).**

იამზე. **(ხათუნას).** გაკვირვებული ვარ... როგორ არ გაცვდა ეგ სარკე შენი შიგ ძდენი ყურებით... როგორ არ მინდა სამსახურში მისვლა, მაგრამ...

ხათუნა... რომ არ გინდოდეს არც წახვიდოდი.

იამზე. შენ რა გგონია, ხათუნა... არ დაიჯერებ, მაგრამ, თუ გინდა სიმართლე იცოდე, გიჭის დანახვაზე ალერგია მემართება. **(თან მთელი სისწრაფით იცვლის ტანისამოსს).**

ხათუნა. ვიცი, ვგრძნობ... დაგავიწყდა ექიმმა რა თქვა? თუმცა სიყვარულს წამლები არ შველის.

იამზე. შენ კარგად ერკვევი, ხათუნა, სიყვარულში.

ამ დროს ოთახში გაქვავებული სახით შემოდის ცირა, სამოციოდე წლის ქალი.

იამზე. ცირა? რა დაგემართა, ცირა, როგორა ხარ?

ცირა. ცუდად.

ჯემალი ქვაბების რახარუნით გადის გარეთ. მას ნელი და ლილიც მიჰყვებიან. ცირა თვალს გააყოლებს.

იამზე. **(მათზე).** ჯუმბერის ნათესავები გვეწვივნენ სოფლიდან.

ცირა. ხათუნა რას შვრება, კიდევ ავადაა?

იამზე. უკეთაა... დღეს უკვე ადგა... დადის... მიდი, ნახე.

ცირა. გამარჯობა, ხათუნა!

ხათუნა. **(ცივად)** გაგიმარჯოთ.

ცირა. მომილოცავს გამოჯანმრთელება.

ხათუნა. გმადლობთ.

ცირა. ეს ჩემგან. **(ჩანთიდან ოქროს ძეწკვს ამოიღებს და ცდილობს კისერზე დაჰკიდოს. ხათუნა ხელს აუქნევს და ჩააგდებინებს. ექიმი, რომელიც აქამდე თავს იმძინარებდა, დგება და საეჭვოდ დაძერება ოთახებში. იგი ერთ-ერთ მომენტში ისევ უკან დაბრუნდება და თავს მოიმძინარებს).**

ხათუნა. რა გინდათ, ცირა დეიდა, ჩემგან რა? აღარ შემიძლია. არ მინდა ეს თქვენი საჩუქრები, არა, არ დავიკიდებ მაინც მაგას გულზე, არა!

იამზე. ხათუნა, ჭკუას მოუხმე!

ხათუნა. რა ვქნა, ცირა დეიდა, არ მიყვარს, არა, არ შემიძლია.

ცირა. მე დედა ვარ, ხათუნა!

ხათუნა. რა ვქნა, ცირა დეიდა, ვიცი რაც უნდა მითხრათ, ყველაფერი ვიცი. ვიცი, რომ ერთი შვილი გყავთ, ვიცი რომ მამამისის სიკვდილის შემდეგ მთლად გადარია, ვიცი, ვიცი რომ შინ არ ათევს ღამეს, რომ მხოლოდ მე შემიძლია მისი გადარჩენა. ვიცი, რომ ძალიან ვუყვარვარ, რომ მთელ ქვეყანას ვურჩევნივარ: დედასაც, მეგობრებსაც, ახლობლებსაც... აღარ შემიძლია, ამ ყველაფრის მოსმენა... ვიცი, რომ ოქროებში ჩამსვამს, ვიცი რომ მუთაქები ფულითა გაქვთ სავსე. დღედაღამ მაგას ჩაჩხრიხინებენ დედაჩემიც, მამაჩემიც, მაგრამ რა ვქნა, არ მიყვარს, არა, მეც ადამიანი ვარ და, ბოლოს და ბოლოს, სხვა მიყვარს...

ცირა. ვიცი, ხათუნა, ვიცი რომ სხვა გიყვარს, მაგრამ რომ არ გინახავს ის კაცი, გენაცვალე. ხომ შეიძლება შეხვდე და არ მოგეწონოს?!

ხათუნა. არ შეიძლება. რანაირად შეიძლება. მე ის უკვე მიყვარს. ის ჩემი იდეალია. მისი ყოველი სიტყვა ჩაწერილი მაქვს. მოგიტანოთ დღიურები და წაგაკითხოთ? მან ბრწყინვალე ლექსები გამომიგზავნა. თქვენ ამას ვერ გაიგებთ, სულ არ გაგთხოვდები, მაგრამ სხვას არ წავყვები, გესმით? არა, არა, არა!

იამზე. ცირა, უნდა მაპატიო, სამსახურში მაგვიანდება.

ცირა. სამსახურში? დღეს?

იამზე. ჰო, რატომ გაგიკვირდა? დღეს სამუშაო დღეა. **(ხათუნას მკაცრად)** ხათუნა! **(შემდეგ ისევ ცირას)** რას იზამ, ცირა, ნახვამდის... ბედნიერი ახალი წელი...

ცირა. კარგად, კარგად. მაინც რა ლექსები გამოგიგზავნა იმ შენმა უჩინ-მაჩინმა, ვერ წამაკითხებ?

ხათუნა. ის თქვენი დასაცინი სულაც არაა. ყოველ შემთხვევაში, თქვენს შვილ-

ზე ბევრად მაღლა დგას. გაინტერესებთ? წაიკითხეთ. **(უბიდან კონვერტს ამოიღებს და გაუწვდის).**

ცირა. ოჰო, გულით ატარებ?

ხათუნა. დიახ.

ცირა. საინტერესოა. **(კონვერტს გახსნის. სავარძელში ჩაჯდება, მაღალფარდოვნად გასწორდება და წაიკითხავს).**

შენ ალბათ შიშით გული გისკდება,
როდესაც ჩემთან შეხვედრას ფიქრობ,
ძნელია ჩემი გადავიწყება,
და ალბათ ღამის სიზმრებში გიხმობ.

არა ტანადი, არა რჩეული,
არა ძარღვებში ცისფერი სისხლით,
არამედ ლოთი და არეული,
შემოვალ, როგორც დანიის პრინცი.

ხათუნა. ცირა დეიდა, როგორა ფიქრობთ, დედაჩემი დაბრუნდება?

ცირა. რა?

ხათუნა. რა და დედაჩემი აღარ დაბრუნდება, წავიდა, გათხოვდა!

ცირა. გათხოვდა? ვის გაჰყვა? იამზე?

ხათუნა. თქვენ რა, თქვენ კი არ წახვიდოდით? უსიყვარულოდ რომ გათხოვილიყავით, ოც წელიწადს შინ რომ საგიჟეთი გქონდათ, მერე შეგხვედროდათ ერთადერთი ნამდვილი მამაკაცი...

ცირა. არა მჯერა, იამზე და... თუმცა ისეა მონასტერი არეული.

ხათუნა. თქვენ რომ ჩემნაირი ხათუნა გყოლოდათ შინ, თქვენც ასე დაგემართებოდათ... თქვენ ახლაც გათხოვდებოდით ალბათ.

ნელი და ლილი ცარიელი ვედროების პრახუნით უკან ბრუნდებიან.

ხელი. მთელს უბანში წყალი არ მოდის, გაგონილა?

ცირა. შენ საშიში ქალი ყოფილხარ, ჩემო ხათუნა. **(წამოდგება და წასვლას დააპირებს).**

ხათუნა. რამ შეგაშინათ, დარჩებოდით კიდევ ცოტა ხანს.

ცირა. ხათუნა, ახალი წელი დგება და... **(ოქროს ძეწკვს მაგიდაზე დადებს)** ეს იყოს მაინც, გქონდეს ჩემგან.

ხათუნა. იყოს, იყოს... ოქროს ხომ ფულის სუნი ასდის და თანაც ყოველთვის დიდი ფასი აქვს.

ცირა. ხათუნა, მაინც გეტყვი, როგორ გითხრა... ხათუნა, დღეს ხალხი სხვანაირადა ცხოვრობს... რა თქმა უნდა, ერთის მხრივ, ეს დღიურები და ლექსები... მაგრამ ხომ ხედავ...

ხათუნა. ვიცი, ზოგი სამჯერ და ოთხჯერ ასწრებს გათხოვებას. რამდენჯერ უნდა მითხრათ. პირველად სიყვარულით, მეორედ სინანულით, მესამედ სისულელით და ასე შემდეგ... მეც ალბათ თანდათანობით გავივლი ამ საფეხურებს, პირობას გაძლევთ.

ლილი და ნელი მხრებს აიჩეჩენ და სამზარეულოში გავლენ.

ცირა. სწორედ ასეთი რძალი მინდა რომ მყავდეს, ერთი ქმარი, ორი ქმარი... სამი ოთხი და ასე შემდეგ... ეეჰ, ხათუნა, ხათუნა, მე წავალ, ახალი წელი დგება...

ხათუნა. წაბრძანდით.

ცირა. ასე ხომ? ძალიან კარგით. მაშინ როგორც შენ მექცევი, მეც ასევე მოგე-

ჭცევი. დავრჩები და ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ თანახმა არ იქნები. ვიყიდები ასე, ერთი წელი, ორი წელი, სამი... ეჰ, ლევან, ლევან, შე საცოდავო.

ცირა სკამს აიღებს და დაჯდება. ამ დროს ოთახში თავიდან ფეხებამდე გალუმპული ჯემალი შემოვარდება.

ჯემალი. მიშველეთ, გავიყინე!

ხათუნას სიცილი წასკდება. ცირა გაკვირდება. ნელი, ლილი და ელისო სამზარეულოდან გამოცვივდებიან.

ელისო. რას დამდგარხარ, ჩქარა საბაზანოში!

ჯემალი. საბაზანოში? მოვიდა წყალი?

ლილი. ჰო, დაგიხტაენ.

ჯემალი. და ტანისამოსი ხომ მინდა რამე?!

ხათუნა. წამოდით, რაიმეს მოგინახავთ.

ჯემალი. **(ლილის)** რას მიყურებთ, ქალბატონო, კაცი არ გინახავთ?

ხათუნას ჯემალი და ელისო გაჰყავს. ნელი და ლილი ტახტზე ჩამოსხდებიან.

ცირა. ვინ იყო ეს შიშველი კაცი?

ნელი. ხათუნას მეგობარია.

ცირა. ხათუნასი? თქვენ ვინა ხართ?

ნელი. მე ლილის მეგობარი ვარ.

ცირა. ვისი?

ლილი. ჩემი.

ცირა. თქვენ?

ლილი. მე ანზორის მეგობარი ვარ.

ამ დროს სკამზე მძინარე ექიმს ხველა აუტყდება და წამოდგება. ცირა შემინებული იკითხავს.

ცირა. ეს ვინღაა?

ლილი. ეგ ოჯახის მეგობარია.

ექიმი. **(ცირას).** შეავსეთ ანკეტა?

ცირა. რა?

ექიმი. ჰოო, თუმცა... დროებით დაგტოვებთ, სადამოს კი საახალწლო სუფრაზე გეწვევით. მაპატიეთ **(წავა).**

ცირა. რა უნდოდა ჩემგან, რა ანკეტა, გიჟია?

ხათუნას და ელისოს შემოჰყავთ ძველებურ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ჯემალი.

ჯემალი. აბა როგორ მოგწონთ, მიხდება?

ლილი. ჩოხა?

ხათუნა. ბაბუაჩემისაა, ოჯახის რელიქვია.

ჯემალი. რა არის ხათუნა, ეს რა მეზობლები გყოლიათ. **(თან ფანჯარაში გადაიხედავს)** მივედი და იმხელა რიგი რომ დამხვდა, გული გამისკდა. დავიწყე წუწუნი, შინ ავადმყოფი მყავს-მეთქი, წყალი იმიტომ მინდა, აბები ვერ გადამიყლაპიაო-მეთქი. ვიწუწუნე, ვილაპარაკე, აქეთ მოვედი — იქით მივედე და როგორც იქნა, მთელი ჩემი დიპლომატიური არსენალი რომ ამოვწურე, გამიშვეს ურიგოდ. აივსო ჩემი ქვაბი და დაწყდა კიდეც წყალი. მოვიდა ერთი რუსის ქალი, სტაცა ჩემს ქვაბს ხელი და პირდაპირ თავზე ჩამომამხო.

ელისო. საწყალი.

ჯემალი. მაინც რა საოცარი ბედი მაქვს. სხვაგანა ვარ ჩაწერილი, სხვაგანა ვცხოვრობ. სხვაგანა ვარ გაფორმებული, სხვაგანა ვმუშაობ. სხვა უნდა ვიყო, სხვანაირად ვარ და თანაც ისე ვარ ჩაყუდებული ამ ჩოხა-ახალუხში, კაცი იფიქრებს არსენა შარაბძელიაო.

ჯემალი დავლურს დაუვლის, მას სხვებიც აჰყვებიან. რეკავს ტელეფონი, ყველანი შეკრთებიან და მონუსხულები მიაჩერდებიან ტელეფონს.

ჯემალი. **(ტელეფონზე მიუთითებს).** ფუ, ფუ!

ყურმილს ნელი აიღებს.

ნელი. გისმენთ, ალო, ალო, კი, კი, აქაა!

ლილი. ანზორია?

ნელი. იამზეა, იამზე... ხათუნა, მოდი, მოდი!

ხათუნა. გისმენთ... დედა... დედიკო.., გაპატიო? **(განცვიფრებული, შეშინებული და სასოწარკვეთილი).** დედა, დედა, შენ მართლს ამბობ? **(ხათუნას ყურმილი დაუვარდეს. მას ხელი უმწეოდ ჩამოუვარდება და ამოისუნთქავს)** მომილოცეთ, დედაჩემი მართლა გათხოვდა...

ფარდა

II მოქმედება

კილაძეების ოჯახში სტუმრები საახალწლო სუფრას უსხედან. ყველანი აქ არიან: ჯემალი, ელისო, გივი, ნელი, ლილი, ცირა და ხათუნა. არ არიან მხოლოდ ოჯახის პატრონები იამზე და ჯუმბერი. სუფრის თავში მჯდომი ჯემალი სადღეგრძელოს წამოიწყებს.

ჯემალი. აბა შეავსეთ ჭიქები. ასე. ამ პირველი ჭიქით, მე მსურს ხათუნას სადღეგრძელო შემოგთავაზოთ...

ლილი. რით? რით?

ჯემალი. ჭიქით.

ლილი. ხათუნას სადღეგრძელო ჭიქით? მოკიდე ყანწს ხელი! ბატონო გივი, მიაწოდეთ რაა ყანწი.

გივი **(აწვდის ჯემალს ყანწს).** აბა გამომართვი!

ჯემალი. ყანწით მაშინებთ? კი ბატონო. **(შეიცვლება)** მოკლედ, მე მინდა ხათუნას სადღეგრძელო დავლიო. გოგონასი...

ლილი. რომლის დედაც სხვას გაჰყვა და მამა კი არავინ იცის სად დაძრწის...

ნელი. ჯიბიდან გავარდნილი. სჯობს, რომ საერთოდ აღარ დაბრუნდეს შინ.

ჯემალი. სწორედ მაგიტომ მინდა დავლიოთ საქართველოს სადღეგრძელო, რომ ასეთ უგუნურ მშობლებს ასეთი ანგელოზი შვილი ჰყავთ, გაგიმარჯოს, ხათუნა! გაიღიმე რაა, იცი როგორ გიხდება ღიმილი? **(დალევს და გივის გადააწვდის)** ბატონო გივი!

გივი. არა, მე ღვინოს არა ვსვამ. მე ხომ დიაბეტი მაქვს.

ცირა. დიაბეტი ჩვენცა გვაქვს ყველას, ასე არ არის?

გივი. რომ შემეძლოს, ჩემი თავი გენაცვალოთ, მაგრამ არ შემიძლია, ბოტკინი მაქვს გადატანილი, თანაც ცე.

ლილი. მიდი, მიდი, გამოცალე! ბოტკინი არა, ბრუცელოზი... აუწი, აუწი, არა უშავს, არ მოგკლავს ერთი ყანწი.

ჯემალი. შენ ნუ დარდობ რაა, ხათუნა. ზოგს საერთოდ არა ჰყავს მშობლები.

ლილი. ჰო, ინკუბატორში არიან დაჩეკილები.

ელისო. ის კი არა, სჯობს კიდეც ასე... **(ხათუნას)** დამოუკიდებელი ხარ, რასაც გინდა იმას აკეთებ, ასე არ არი?

ნელი. **(ელისოს)** შენ რა, ეჭვიანობ, ლამაზო?

ელისო. მე?

გიგი. საცოდავი ბავშვი.

ცირა. საცოდავი? რატომ არის ხათუნა საცოდავი? მე წავიყვან ჩემთან და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ცივ ნიავს არ მივაკარებ, ცივ ნიავს...

ხელი. ხათუნა, შენ გული არ გაიტეხო. შენც ადექი და გათხოვდი, მართლაც... ჰო, ჰო, ყველაფერი ჩაიცლის, დამიჯერე. ხომ გახსოვს ეგვიპტის ფარაონს რა ეწერა ხელზე. ესეც ჩაიცლის.

ლილი. ჰო, ჰო... ჩაიცლის, ჩაიც...

ხათუნა აღარავის უსმენს და ქვითინით შერბის თავის ოთახში.

ნელი. საწყალი ბავშვი, მთლად მარტო დარჩა.

ლილი. **(მტკიცედ)** წინ!

ყველანი ერთად ხათუნას მიჰყვებიან. სცენა ცარიელდება.
ამ დროს თაიგულით ხელში ოთახში სახეგაბრწყინებული ჯუმბერი შემოვარდება.

ჯუმბერი. იამზე, იამზე, სადა ხარ, მომილოცავს, მომილოცავს ახალი წელი. მორჩა, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ!

(ტახტის, სკივრისა და გაწყობილი სუფრის დანახვაზე გაკვირდება. შემდეგ ხმაურს გაიგებს მეორე ოთახიდან და შეშინდება. არ იცის რა ქნას, ბოლოს ტახტს ახდის და შიგ ჩაძვრება. სტუმრები ხმაურით შემოვლენ უკან და სუფრას მიუსხდებიან. ხათუნა ჭიქას აიღებს).

ხათუნა. დამისხით! **(ჭიქას აუსებენ)** მე მინდა დედაჩემის, იამზეს სადღეგრძელო შემოგთავაზოთ.

ხელი. არა, არავითარ შემთხვევაში. მე მაგ სადღეგრძელოს არ დავლევ. ქალი რომ ასეთ ოჯახს მიატოვებს და ვილაც გადამთიელს გაჰყვება... არ დავლევ, არავითარ შემთხვევაში...

ხათუნა. რაო, რა უნდა? ვერ გავიგე.

ლილი. რაო და იამზეს სადღეგრძელოს არავითარ შემთხვევაში არ დავლევთ. ქალი რომ ოჯახს მიატოვებს და თავიდან სხვა მხეცზე გათხოვდება, მე იმ ქალის სადღეგრძელოს არავითარ შემთხვევაში არ დავლევთ.

ხათუნა. მე კი დავლევ, დიახ, მართალია, დედაჩემი გათხოვდა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ახსნა აქვს... ჩვენ ხომ არ ვიცით არა მიზეზი. იქნებ რა ძიზეზი ჰქონდა. მოკლედ, გაუმარჯოს ჩემს დედას, იამზეს!

ჯუმბერი ველარ მოითმენს და ტახტის სახურავს ახდის.

ჯუმბერი. რაო, რაო, ვინ გათხოვდაო?

ყველანი გაიფანტებიან და ჯუმბერს მიაჩერდებიან. ბოლოს ისევ ლილი გაბედავს.

ლილი. იამზე.

ჯუმბერი. იამზე? ხათუნა, მართლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშუნა. ჰო, გათხოვდა, გივის გაჰყვა, თავის დირექტორს.

ჯუმბერი. ყანწი, ჩქარა, ყანწი მოშაწოდეთ!

ნელი. ყანწიო?

ჯუმბერს ყანწს მიაწვდიან.

ჯუმბერი. მეგობრებო, მე მინდა ჩემი მშვენიერი მეუღლის, ყოფილი მშვენიერი მეუღლის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ნუ გაგიკვირდებათ, განა ცოტაა ისეთი ოჯახები, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ღალატობენ და მაინც ერთად ცხოვრობენ? ეს ხომ ყოველდ დაუშვებელი უსისტემობაა. აი, ამიტომ, მე ვსვამ იამზეს სადღეგრძელოს, ქალისას, რომელმაც სპეტაკ სიყვარულს ანაცვალა ოჯახის ბედნიერება, სიმდიდრე, ქონება, ბინა...

ლილი. კაი ქართველი, კაი ვაჟკაცი! ეჰ, ანზორ, ანზორ, შე აზიატო!

ჯემალი. მოიცა, მოიცა... ბინა?

ჯუმბერი. დიახ, ბინა... ოჰო, გამდიდრდები ეტყობა, კი ვერ გიცანი...

ელისო. თუკი თქვენისთანებს გადაეყრება, გამდიდრდება აბა რა!

ჯუმბერი. ვაჰ, ეს რა ძვირფასი სტუმრები მწვევიან, მე კი... აი ეს მესმის! გულით რომ მდომებოდა, ასე ერთად ვერც შეგკრებდით ალბათ. ყოჩაღ, იამზე! ეს რა მშვენიერი სუფრა გაუწყვია. არა, მაინც რამ შეგაწუხათ?

ჯემალი. დაიწყო არა, ისევ ძველებურად!

ჯუმბერი. **(შეაწყვეტინებს)** შენი საქმე გაჩარხულია, შენ რა გაქვს სანერვიულო?

ჯემალი. გაჩარხულია? რომელი მოიტანე მაინც, ფული თუ ორდერი?

ლილი. კი მაგრამ, მე თუ მივიღებ ბინას, მე?

ჯუმბერი. ნუ ღელავთ, ერთიც იქნება და მეორეც, ყველაფერი მოგვარდება.

ჯემალი. როგორ თუ ერთიც იქნება და მეორეც... ფულსაც გვიბრუნებ და ბინასაც გვაძლევ? ავშენებულვართ და ეგაა!

ლილი. მე თუ მივიღებ ბინას, მე?

ჯუმბერი. ერთ კვირაში დაგიძახებენ, პასპორტები უნდა წაიღოთ, მეტი არაფერი გინდათ...

ჯემალი. მერე?

ჯუმბერი. რა მერე, მოგცემენ ორდერს და ის იქნება.

ჯემალი. გასაღებით?

ჯუმბერი. რა თქმა უნდა!

ჯემალი. კაცო, შენზე არც ცემამ გასჭრა? არც მუქარამ? ეს ტახტი და კარადა შენი ხომ არა გგონია, ჩემია, და სანამ ფულს არ დაგვიბრუნებ, აქედან ფეხს არ მოგაცლიო იცოდე!

ლილი. არც მე... მეც არ მოვიცლი ფეხს. სად არი ჩემი ფული, რა უყავი? **(გაუქანებს ჩანთას. იწყება არეულობა. ბოლოს ჯუმბერი იყვირებს და ყველას გააჩუმებს).**

ჯუმბერი. დაწყნარდით! დამშვიდდით! გაჩუმდით! მაცალეთ ერთი წუთით. ცირა, მომიტანე ერთი ეგ ტელეფონი აქ!

ცირა. ახლავე.

ჯუმბერი სავარძელში მოკალათდება. წინ ტელეფონს დაიდგამს.

ჯუმბერი. ახლა ეგ ხალხი, სუყველა სამზარეულოში გაიყვანე!

ცირა. აბა გადით ახლა ყველანი სამზარეულოში, ჩქარა, ჩქარა...

ჯემალი. მოიცათ, რა გვინდა სამზარეულოში, ამ კაცთანა გვაქვს საქმე.

ცირა. გადით, გადით!

ლილი. გავიდეთ, აბა ერთი, გავიდეთ!

ცირა მათ სამწარეულომდე მიჰყვება და უკან დაბრუნდება.

ჯუმბერი. მომიყვანე ახლა... ჰო, ის, ცოლ-ქმარი ხიდეშელები...

ცირა. ხიდეშელი... ხიდეშელები!

ყველანი გამოცივდებიან.

ჯემალი. **(ლილის და ნელის)** ხიდეშელები ჩვენა ვართ, თქვენ სად მოდიხართ, გვაცალეთ, ახლა ტოტა ხანს...

ელისო. ჩვენა ვართ ხიდეშელები, ჩვენ!

ჯემალი და ელისო ეჭვის თვალით შეხედავენ ტელეფონზე საქმიანად მოსაუბრე ჯუმბერს.

ჯუმბერი. როგორ? კი მაგრამ, ქალბატონო თინა, ჩვენ ხომ შევთანხმდით... ხიდეშელები, დიახ... თქვენ ხომ მიიღეთ... რა? აააა... კარგად, კარგად. **(დადებს ყურმილს).** ქალბატონი თინა, მანწყაა. **(და შუბლზე მიირტყამს ხელს)** მოსაკლავი ვარ რა, მართლა მოსაკლავი...

ელისო. ნუ არტისტობ რა ჯუმბერ, ნუ არტისტობ!

ჯემალი. **(აღელდება)** რას აფერისტობ, მორჩი რა... ან ფული დამიბრუნე დღესვე, ან არა და მოგკლავ ბოლოს და ბოლოს!

ელისო. შარშან ბინა თუ არა გვქონდა, ფული მაინცა გვქონდა, ახლა აღარც ფული გვაქვს და აღარც ბინა, თანაც იმედიც აღარა გვაქვს რომ დაგვიბრუნებ. ბავშვი მინდა გავაჩინო, ბავშვი მინდა, გესმით, ბავშვი... **(იწყებს სირბილს ოთახში), (ჯემალი ცდილობს გააჩეროს)** ესაა ბუნებრივი მოთხოვნილება. ბავშვი ვერ გამიჩენია, სახლი არა მაქვს, კარი არა მაქვს, ბავშვი მინდა გავაჩინო, ბავშვი მინდა მყავდეს...

ჯუმბერი ველარ გაუძლებს, მოკიდებს ელისოს ხელს და სილას შემოჰკრავს. ჯემალი მისკენ გაიწევს. ატყდება აყაღ-მაყაღი. ჯემალს გააკავებენ.

ჯუმბერი. ბინა გინდათ ხომ? მოდით აქ! **(მიიყვანს იამზეს ოთახთან)** აი ბინა, შედით და იცხოვრეთ! არც თქვენი ქორა მინდა, არც ფული...

ელისო. მე ჩემი ბინა მინდა, გესმის? ჩემი საკუთარი ბინა მინდა, საკუთარი.

ჯუმბერი. გექნებათ, საკუთარიც გექნებათ. ბოლოს და ბოლოს ამ ოთახს სულაც თქვენ დაგიმტკიცებთ. იამზე აღარ დაბრუნდება, წავიდა, გათხოვდა, რომც დაბრუნდეს, მე აქ აღარ გავაჩერებ... შედით, შედით.

ცირა. შებრძანდით, შებრძანდით, ეგ ხომ იამზეს ოთახია.

ჯუმბერი ძალით შეყრის ორივეს შიგნით და კარს გამოკეტავს. სათუნა ტაშს უკრავს, ჯუმბერი კი ისევ ტელეფონს მიუჯდება. ნელი და ლილიც მასთან მიჩოჩდებიან. ჯუმბერი ნომერს აკრეფს.

ჯუმბერი. დიახ, ქალბატონო თინა...

ლილი. თინა იოსების ასული მანწკავა?

ჯუმბერი. კი მაგრამ, თქვენ ხომ დამპირდით... თქვენ ხომ მიიღეთ თქვენი წილი... აააა... კი... კი... კი... დიახ, დიახ... კარგი აბა, კარგად.., **(დადებს ყურმილს)** ძოსაკლავი ვარ, ნამდვილად მოსაკლავი...

ლილი. ნუ თაღლითობ, რა, ჯუმბერ, ნუ თაღლითობ, ან ფულს დამიბრუნებ დღესვე, ან არადა შენს თავს დააბრალე, რაც დაგემართოს, შეიძლება, ამდენ ხანს ასე ატყუო კაცი?

ნელი. დამშვიდდი, ლილი, დამშვიდდი...

ლილი. რანაირად დავმშვიდდე, ნელი, რანაირად, ბინა დავკარგე, ფული დავკარგე, ანზორიც დავკარგო? ასე როგორ შეიძლება...

ჯუმბერი. გაჩუმდით, გაჩუმდით! წამოდი, წამოდი ჩემთან! **(მოკიდებს ხელს და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზე გაჰყავს) ბინა გინდა ხომ? აი, ბინა. ეს ოთახი ჩემი იყო, მე აღარა მჭირდება, შედი და იცხოვრე!

ლილი. და შენ სად უნდა დაიძინო?

ჯუმბერი. ეგ მე ვიცი.

ლილი. მართლა?

ცირა. შებრძანდით, რაღას დგახართ?

ლილი პირჯვარს გადაიწერს და ჯუმბერის ოთახში შევა. ჯუმბერი კი ნელის მოკიდებს ხელს და გვერდით გაიყვანს.

ჯუმბერი. მოიტანე ფული?

ხელი. მოვიტანე, მაგრამ ვერ მოგცემ.

ჯუმბერი. კი ბატონო, ნუ მომცემ... მაგრამ არ შემოგეხარჯოს, ერთ თვეში დაგვჭირდება, შე თვითონ დაგიძახებ.

ნელი. ვნახოთ, ვნახოთ.

რეკავს ტელეფონი. ყურმილს ცირა აიღებს.

ცირა. ვინა? ბუაძე ლილი? ჯუმბერ, ვილაც ლილი უნდათ.

ჯუმბერი. ვინა? **(გამოსტაცებს ყურმილს)** ვინ ლილი, რა ლილი... სად რეკავთ? ბუაძე?

ნელი. ლილი, ლილი! შენთან რეკავენ, ჩქარა!

ლილი. **(შემოვარდება და წაგლეჯს ყურმილს)** მე ვარ ბუაძე ლილი, მე. ალო, გისმენ... ანზორ, მე ვარ, მე... იცი, ანზორ, ბინა მივიღეთ, მაგრამ არ მომწონს... რატომ? რატომ და კოშუნალურია, სამზარეულო და ტუალეტი საერთო აქვს, თანაც დაბალჭერიანია... მოხვალ, ანზორ? აქ შევხვდეთ, ჰო. მოდი რა? უთხარით რა, მოვიდეს. თქვენც უთხარით, რა?

ჯუმბერი. სად? აქ?

ლილი. ჰო, ჰო!

ჯუმბერი. **(ყურმილში)** ანზორ, სასწრაფოდ გამოცხადდი პეკინის ოცდაშვიდში კილაძეებთან. ჰო, ჰო, ჯერჯერობით აქ იცხოვრებთ და მერე ვნახოთ. გელოდებით ჰო, ჰო, მოუთმენლად **(დადებს ყურმილს).**

ლილი. მოვალო?

ჯუმბერი. კი, მოვალო, მოვალო. აბა, ახლა კი სუფრასთან, ჩქარა, ჩქარა. ჯემალ, ელისო! სუფრასთან ყველა!

ცირა. მე წავალ და ახლავე მოვალ, ახლავე **(გავა).**

გიგი. მოითმინეთ! ერთი წუთით... აქეთ მოისხედეთ, აქეთ! ეხლა მეც დამიგდეთ ყური. მეცა მაქვს თქვენთან პატარა საქმე.

ჯუმბერი. არ თქვა ახლა, რომ შენც ბინა გინდა.

ლილი. ანკეტები უნდა ალბათ ისევ.

ყველა. რა ანკეტები, რის ანკეტები, რა დროს ანკეტებია, არავითარ შემთხვევაში.

გიგი ჯიბიდან წითელ პირადობის მოწმობას ამოიღებს და იქ მყოფთ დემონსტრატიულად გადაუშლის. ყველა შეშინდება და გაისუსება. ლილი გაბედავს, მიუახლოვდება და წაიკითხავს.

ლილი. ო, ბ, ხვე?

გიგი. **(წიგნაკს დაკეცავს, გულის ჯიბეში ჩაიდებს და იქ მყოფთ გადახედავს)** მე თქვენ ოფიციალურად უნდა მოგახსენოთ, რომ დავალებული მაქვს თქვენი საქმე კადვაცც პროკურატურას. ყველა აქ მყოფი ვალდებულია შვიდ იანვრამდე მოწმეებთან ერთად დაკითხვაზე ჩვენთან გამოცხადდეს.

ჯუმბერი. პატონო გივი, განა რას მოიგებთ მერე მაგით? არ იჯობებდა რომ დღესვე, აქვე დაგვეხურა ეს საქმე და შინაურულად მოგველაპარაკა?

ლილი. რა თქმა უნდა.

ჯემალი. აბა რა.

გივი. მე კი მზად გახლავართ ყველაფერზე, მაგრამ სანდოა მერე ეს მილეთის ხალხი?

ჯემალი. სანდო?

ელისო. ჩვენი ბედი წყდება და...

ნელი. გეყადრებათ?

გივი. რაო?

ლილი. გეყადრებათო?

გივი. მე?

ჯუმბერი. მოითმინეთ ერთი წამით. ნელი, მომეცი აქ ეგ შენი თხუთმეტი ათასი.

ხელი. რა ყოველთვის მე უნდა გამოვიჭყლიტო ხოლმე შუაში.

გივი. რაო?

ლილი. სულ მე უნდა გამოვიჭყლიტო შუაშიო?

ჯუმბერი. რისა გეშინია, ხომ იცი, რომ ჩემთან არ დაგეკარგება არა? **(ართმევს ნელის ფულს და აწვდის გივის)** როგორ ფიქრობთ, არ ეყოფა ეს თანხა ამ საქმეს დასახურად?

გივი. **(გაშლის ცხვირსახოცს და მისით მოკიდებს ფულს ხელს ფრთხილად).** არ აკლია?

ლილი. **(ჩაილაპარაკებს)** დანომრილი ჰგონია. არ ჩაიდო, ეცოტავა?

გივი. იცით, მეც მინდა გთხოვოთ რაღაც. მე მთელი ჩემი ოჯახით, ერთ ბატარა, პოწუხოულ ერთოთახიანში ვცხოვრობ. თანაც მრავალშვილიანი ოჯახი ვართ. ხუთი შვილი გვყავს, ხუთი...

ნელი. **(ლილის)** არ დაუყრიათ?..

გივი. რაო?

ლილი. ღმერთმა გაგიზარდოთ და გამრავლოთო.

გივი. მადლობთ. ჰოდა, გუშინ მოხდა ისეთი რამ, რაზედაც მთელი თორმეტი წელია ვოცნებობთ. როგორც იქნა გარდაიცვალა ჩვენი მეზობელი აზა ბაბუხადია. ოროთახიანის ბატრონი.

ჯუმბერი. ა, ვიცი, ვიცი... მაგრამ თქვენს გარდა, მაგ ბინას სხვებიც რომ უთვალთვალებენ?

გივი. რა თქმა უნდა, დასწრებაზეა.

ჯუმბერი. ძალიან კარგი, ჩათვალეთ, რომ ეგ ბინა უკვე თქვენია.

(გამოართმევს ფულს უკან და გულის ჯიბეში ჩაიდებს).

ხელი. სად მიგაქვს, ჯუმბერ, ეგ ფული, ეგ ხომ ჩემი ფულია?

ჯუმბერი. სულ გადმავიწყდა, ეს რა გულმავიწყი გავხდი ამ ბოლო დროს. **(დაუბრუნებს ფულს ნელის).**

ხელი. რატომღაც ამ ქალაქში ყველას სათავისოდ ავიწყდება ყველაფერი.

ჯუმბერი. ჰო, კარგი, კარგი, გეტყვი როდა დაგჭირდება, ოღონდ არ შემოგეხარჯოს, იცოდე! აბა, ახლა კი ყველა სუფრასთან, გთხოვთ.

გივი. მე უნდა წავიდე, მეზობლები გავაფრთხილო.

ჯუმბერი. იჩქარეთ!

გივი. ჩათვალეთ, რომ თქვენთან ერთად შევხვდი ახალ წელს.

ხელი. მეუღლე მოგვიკითხეთ, მოგვიკითხეთ მეუღლე.

გივი. რაო?

ლილი. მეუღლე მოგვიკითხეთო პირზე კოცნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი. თქვენც ასევე, ნახვამდის! **(გადის).**

ლილი. რა პატარაა და ობოლესის თანამშრომელია.

ჯუმბერი. აბა ჩამოვასხათ. მოიტათ ჭიქები. ყანწი... დროზე თორემ საცაა ახალი წელიც მოგვიკაკუნებს...

ლილი. მე მინდა რა, ერთი სადღეგრძელო დავლიო?

ნელი. ანზორი გინდა აღეეგრძელო?

ლილი. ვაიმე ანზორი, მართლა, რომ ვერ მოგვაგნოს? ქუჩაში უნდა შეხვდეს ახალ წელს? მაშინ ხომ ისევ ქუჩაში ყოფნა დაგვეკვებება?

ჯუმბერი. რა მინდა მე, იცით? ქართველი კაცი მინდა ვადღეგრძელო, ვინც მიუხედავად უამრავი მტრისა და დუშმანისა, მაინც სიამაყით გაჰყურებს მომავალს...

ამ დროს შემოდის დაღლილ-დაქანცული იამზე, რომელიც პალტოს გაიძრობს, მიაგდებს და სასოწარკვეთილი სკამზე მიესვენება.

ჯუმბერს დოქი ხელში შეეყინება. სხვებიც შეცბუნდებიან და გაკვირდებიან.

ლილი. ჯუმბერ, შენ იცი ახლა, ემოციების გარეშე.

იამზე. რომ იცოდეთ, რა ძნელი იყო ჩემთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ჩემს თვალწინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ სიზმარივით ჩაიარა. ბოლოს კი ყველაფერი დამთავრდა და ის, რაც იყო, აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ განმეორდება. ჯუმბერ, უნდა მაპატიო და გაძლევ პირობას, ჩემს ცოდვებს აუცილებლად მოვინანიებ.

ჯუმბერი. არა მართლა.

იამზე. ხათუნა, ნუ მიყურებ ასეთი განმგმირავი თვალებით.

ნელი. როგორ თუ ყველაფერი დამთავრდა?

ლილი. მერე ჩვენ? ჩვენ სადღა წავიდეთ?

ნელი. ჩვენი არ იყო ამის ოთახი?

ჯუმბერი. ეს ამისთვის დამთავრდა, ჩვენთვის კი არა, მორიგება ისევ ძალაშია.

ლილი. ქუჩაში გვყრით არა? ანზორი გადაირევა.

იამზე. ჯუმბერ, მერწმუნე, ეს მხოლოდ წუთიერი გატაცება იყო, წუთიერი.

ელისო. წუთიერიო... აღარც სახლი, აღარც კარი. ბავშვი მინდა გავაჩინო, გესმით, ბავშვი. მითხარით, ქუჩაში ხომ ვერ გავაჩენ, არა?

ჯეჯალი. მეც ქუჩაში ვარ დაბადებული და შვილიც ქუჩაში, კაცო?

ნელი. დავიღუპე.

ჯუმბერი. ნუ უსმენთ რა ამას. ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერეთ.

ნელი. ეს რომ სხვას ამბობს.

ჯუმბერი. ეს მთელი ცხოვრება ასეა, კაი ხანია ასე აბოდებს. ეს სულ ცაში დაფრინავს, ცაში. **იამზე,** სიმართლე მითხარი, რა მოხდა, იჩხუბეთ?

იამზე. არა, კი არ ვიჩხუბეთ, თქვენ წარმოგიდგენიათ? ისე მიმიღო, როგორც ჩვეულებრივი, რივითი თანამშრომელი.

ჯუმბერი. ასეც ვიცოდი. მერე შენ რატომ არ აუხსენი, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი და არანორმალური რომ ხარ?

იამზე. მაცალა რომ? ისე მიიღო ყველაფერი, როგორც საახალწლო საჩუქარი.

ჯუმბერი. რა? რა მიიღო, როგორც საახალწლო საჩუქარი?

იამზე. არ გითხარი, ყველაფერი-მეთქი?

ჯუმბერი. რა ყველაფერი, ამიხსენი, ნუ შემშალე ჭკუიდან. დაალაგე აზრები!

იამზე. რა დალაგება უნდა, ჯუმბერ, ჩვენი შეხვედრა, რა ვიცი, კოცნა...

ჯუმბერი. კოცნა?

იამზე. ჰო, გადახვევა ჩვეულებრივი. რა ვიცი, გაიბღინძა მამალი ინდაურივით, ჩამოუშვა ეს ჩიჩახვი...

ჯუმბერი. (მოწყვეტით დაეცემა სკამზე) შენც წამოსტი და გამოვარდი, არა? ვერ აცალე ცოტა ხანს, ეგება მოსულიყო ჭკუაზე ის დალოცვილი.

იამზე. არა, პირიქით, მთლად გადაირია.

ჯუმბერი. იცი რას გეტყვი? ადგები ახლავე, ამ წუთას და უკან დაბრუნდები. როგორ შეიძლება იმ კაცის ასე აბუჩად აგდება... გაგიჟდი?

იამზე. დავბრუნდე? არა, არასოდეს. ეგ ჩემს ძალებს აღემატება, დამიჯერე.

ჯუმბერი. რას ამბობ, გესმის? შეიძლება იმ კაცმა უკვე თავიც კი ჩამოიხრჩო.

იამზე. როგორ გეკადრება, მასეთები მაგაზე არ მიდიან.

ჯუმბერი. შენ რა იცი, როგორები მიდიან მაგაზე და როგორები არა?

ლილი. ესენი ცოლ-ქმარი არიან, ხომ?

ხათუნა. კი, ჩემი მშობლები არიან.

ლილი. ეჰ, ანზორ, ანზორ, შე აზიატო!

იამზე. ჯუმბერ, მე გავალ, გამოვიცვლი.

აპირებს საწოლ ოთახში შესვლას. ჯუმბერი წინ გადაუდგება, უკან დააბრუნებს.

ჯუმბერი. სად გარბიხარ, სად? მოიცა, მათქმევინე მეც ჩემი სათქმელი. შენ რა გგონია, მე არა მაქვს ჩემი თავმოყვარეობა? პრესტიჟი, რომელიც შენ ფეხით გასთელე?! რა უნდა თქვან მეზობლებმა? ხალხმა? წავიდა, დრო ატარა და ისევ უკან დაბრუნდაო, არა? ცხვირი ვეღარ გამიყვია გარეთ, ცხვირი. ნაცნობებს რომ ვხედავ, სახეზე ხელს ვიფარებ და ვიმალები. მოკლედ, არ ვიცი მე, ამ წუთას უკან დაბრუნდები!

იამზე. მაგას სიკვდილი მირჩევნია, მომკალი თუ გინდა და მაგას კი ნუღარა მთხოვ, გემუდარები!

ჯუმბერი. გეყოფა ახლა, თავს ნუ იკატუნებ! უნდა დაბრუნდე და მორჩა. ახლავე, ამ წუთას, ადგები და წახვალ!

იამზე. **(წამოდგება)** შენ მართალი ხარ, მე უნდა წავიდე!

ელისო. ნუ წახვალთ, იამზე დეიდა, ნუ. დარჩით, სულაც ჩვენს ოთახში იცხოვრეთ, ჩვენთან დაიძინეთ.

იამზე. დეიდა? **(თითქოს ახლაღა შეამჩნევს სტუმრებს)** როგორ, ეს დამპყრობლები ისევ აქ არიან? ჯუმბერ, ამ წუთას, ახლავე ამ ხალხს თუ არ გაისტუმრებ...

ჯუმბერი. რაო, რაო? შენ რა ულტიმატუმებით მელაპარაკები. ესენი უნდა გავისტუმრო და თქვენთან დავრჩე არა? შენთან და ხათუნასთან. არა, ამ ხალხს მე ვერსად ვეღარ გავუშვებ. ეს შენ წახვალ აქედან, შენ გადასახლდები, ესენი კი აქ იცხოვრებენ, გაიგე? დიახ, მეტი საქმე არა მაქვს დატოტვილი რქებით ვიარო იქით-აქეთ!

იამზე. ჰო, კარგი, კარგი, მივდივარ.

იამზე ფეხათრევით გავა და ყველა ცუდ ხასიათზე დადგება.

ჯუმბერი. იცით რა? მოდით გადავდოთ ეს ახალი წელი და დავიძინოთ.

ლილი. გადავდოთ?

ჯუმბერი. ჰო, რა მოხდა, თოთხმეტში ვიზეიმოთ, ძველი სტილით.

ნელი. თოთხმეტ იანვარს ქართული თეატრის დღეა.

ლილი. მე რომ ანზორთან ერთად ბათუმში მივდივარ. წელს იქ იხდიან ქართული თეატრის დღეს და მთელი საღამო ანზორმა უნდა წაიყვანოს.

ნელი. მე რომ არაფერი ვიცი ამის შესახებ, ჩემთვის არ უნდა გეთქვა?

ჯუმბერი. კარგით ახლა, დაშოშმინდით. მე გადავრეკავ და მაგ თქვენს თეატრის დღეს გადავადებინებ.

ლილი. მაშინ დავიძინოთ.

სტუმრები უხალისოდ გაიფანტებიან ახლა უკვე საკუთარ ოთახებში. ნელი, რომელიც უადგილოდ დარჩა, ლილის მიუკაკუნებს.

ნელი. ლილი, გამიღე კარი, ნელი ვარ.

ლილი. **(გამოიხედავს)** რა ვქნა, ნელი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვერ დაგაძინებ. ანზორი რომ მოვიდეს, სად წავიყვანო?

ნელი. ლილი, რას მეუბნები, რა გამიყვანს ახლა თემქაში?

ლილი. ხათუნა, ეგებ შენთან დააძინო, რა გაიყვანს მართლაც თემქაში.

ხათუნა. წამოდი. **(ნელის თავის ოთახში გაიყვანს და უკან დაბრუნდება).**

შემოდის დაბნეული ჯუმბერი. ჯერ ლილის შეუღებს კარს დასაძინებლად, მაგრამ ლილის კივილზე უკან ტყვიასავით გამოვარდება. შემდეგ ელისოს ოთახში დაპირებს შესვლას, ელისოც იკივლებს, ამიტომ იძულებული ხდება სამზარეულოში შეიდეს, საიდანაც ჯემალი გამოვა და ახლადმიღებულ ოთახში დააპირებს შესვლას.

ჯემალი. ხათუნა, შენ რა, არ აპირებ დაძინებას?

ხათუნა. ჯემალ, მოდი რა, დავლიოთ?

ჯემალი. **(ჩაფიქრდება)** მე და შენ? თუ ელოდები კიდევ ვინმეს?

ხათუნა. არავისაც არ ველოდები.

ხათუნა ორ ჭიქას შეავსებს. ერთს ჯემალს მიაწვდის.

ხათუნა. ვახტანგურად.

ჯემალი. ვახტანგურად?

ხათუნა. ჰო, რა იყო, შენ გაგიმარჯოს!

ჯემალი. მე?

ხათუნა. შენ, შენ. **(მკლავს გადააწდომინებს)** სიყვარულო, სიყვარულო, როგორ სტანჯავ ადამიანს, როგორ უფლეთ სულს.

ჭიქებს გამოცლიან. ხათუნა ჯემალს კოცნას დაუპირებს. შეცბუნებული ჯემალი უკან გადგება.

ჯემალი. ხათუნა, რატომ არ გაჰყვები ლევანს ცოლად?

ხათუნა. შენ რა, დამცინი?

ჯემალი. რატომ?

ხათუნა. **(უბიდან ფურცელს ამოიღებს, გადაშლის და კითხულობს).**

შენ ალბათ შიშით გული გისკდება,
როდესაც ჩემთან შეხვედრას ფიქრობ.
ძნელია ჩემი გადავიწყება
და ალბათ ღამის სიზმრებში მიხმობ.
არა ტანადი, არა რჩეული,
არა ძარღვებში ცისფერი სისხლით,
არამედ ლოთი და არეული
შემოვალ როგორც დანიის პრინცი.

ჯემალი ტაშს უკრავს.

ხათუნა. ჯემალ, შენ გიყვარს შენი ცოლი?

ჯემალი. **(გახედავს შიშით მეუღლის ოთახს)** მიყვარს.

ხათუნა. მჯერა, აი მე კი არავინაც არ მიყვარს.

ჯემალი. არც ის, ვინც მაგ ლექსებს გიწერს და გიგზავნის, აბა რატომ ინახავ გულში?

ხათუნა. გინდა სიმართლე იცოდე. ამ ლექსებს თვითონ ვუგზავნი ჩემს თავს.

ჯემალი. ეგ როგორ?

ხათუნა. როგორ და კარგად. დავწერ, ჩავდებ კონვერტში, დავაწერ მისამართს, გავაგზავნი და მომდის, ვითომ სხვა მიგზავნის. ხო მაგარია?

ჯემალი. ეტყობა, შენც სიმბოლიზმი გჭირს.

ხათუნა. არა, ისე, ვერთობი... ჯემალ, მოდი რა, მაკოცე. იცი ჯერ ჩემთვის არავის უკოცნია.

ხათუნა ჯემალის უახლოვდება. ჯემალი უკან იხევს.

ჯემალი. ხათუნა, შენ მთვრალი ხარ, წადი დაიძინე!

ხათუნა ჯემალს მოეხვევა და კოცნის. ამ დროს შემოდის ელისო და შემკრთალი შეჰყურებს ჩახვეულებს. ჯემალი შენიშნავს, რომ ელისო შემოსულა და ცივად გაუშვებს ხელს ხათუნას. თუმცა უკვე გვიანია. ჯემალს სურს თავი იმართლოს.

ჯემალი. **(ელისოს)** ხათუნა!

ელისო. ელისო.

ჯუმალი. ელისო, შენ არ გეგონოს, ჩვენ ვთამაშობდით...

ელისო. რა სულელი ვარ, რა სულელი, აი თურმე რა ეწეოდა აქეთ.

ჯუმალი. დედას გეფიცები, და-ძმურად ვკონცილდით ერთმანეთს...

ელისო. გამეცალე!

(ელისო გადის, იცვლის სამოსს, იღებს ჩემოდანს და წასვლას აპირებს. ჯემალი აფორიაქდება. აბრახუნებს ლილისთან).

ჯუმალი. ჯუმბერ, სადა ხარ. ჯუმბერ, მიშველე!

ლილის ხმა. ანზორ, ანზორ, შენა ხარ?

ჯემალი. ანზორი არა, ის...

ჯემალი სახლში დარბის და კარებებზე აბრახუნებს. ყველანი გამოცვივდებიან შუა ოთახში, ზოგი ღამის პერანგსა ან პიჟამოში. ზოგიც ჩაცმული.

ლილი. რა მოხდა?

ჯუმბერი. რა ხდება, რა ამბავია?

ჯემალი. ჯუმბერ, მიშველე, ელისო სახლიდან გარბის.

ჯუმბერი. რა? სად გარბიხარ, ბინა ხომ მოგეცი, იცხოვრე და აჩინე ბავშვები.

ელისო. მე ჩემი ბინა მინდა მქონდეს, ჩემი. აღარ ვაჩენ ამ შვილს არა, აღარ მინდა ბავშვი. **(ვამაიძრობს კაბის ქვემოდან მუცელზე ფეხმძიმობის დასამტკიცებლად ტყუილად ჩადებულ ბალიშს და მოისვრის)** ეს ბინაც უნდა გადავცვალო ან გავყიდო.

ჯუმბერი. რა დაგემართა მაინც, აღარ იტყვი?

ელისო. ჩემი ჯემალი სხვასა კოცნიდა, სხვას.

ჯუმბერი დაეჭვებული მიმოიხედავს და იქვე ახლოს მდგარი ნელი შერჩება ხელთ, რომელსაც თითით დაემუქრება.

ჯუმბერი. ნელი?

ნელი. **(შეურაცხყოფილი)** როგორ გეკადრებათ, რა უმსგავსობაა!

ჯუმბერი. **(ელისოს მიუბრუნდება)** მაშ ვისა კოცნიდა, ლილის?

ელისო. ხათუნას.

ჯუმბერი. ხათუნას? მართალს ამბობს, ხათუნა?

ხათუნა. მართალს ამბობს. მე ჯემალი მიყვარს. რა, პირველად კი არ მაკოცა.

ჯემალი. ხათუნა, რას ლაპარაკობ, შენ რა, გაგიჟდი?

ელისო. მე წავედი! **(გულდათუთქული ჩემოდანზე ჩამოჯდება).**

ჯემალი. სად წახვედი, სად, ვის უჯერებ?

შემოდის ცირა, რომელსაც ხელით შემოჰყავს მორცხვად აწურული ლევანი.

ცირა. შვილო ლევან, გადმოადგი ფეხი, ნუ გრცხვენია. როდემდე შეიძლება იყო ასეთი მორცხვი, როდემდე?

ლევანი. დედა!

ხათუნა. მე თანახმა ვარ, ცირა დეიდა, თანახმა. წამიყვანეთ აქედან.

ცირა. თანახმა ხარ? რომ იცოდე, ხათუნა, რა ლოდი მომწყდა გულიდან...

ჯემალი. არ დაიჯეროთ, ქალბატონო, ეს ბავშვი **(ხათუნაზე)**, უბრალოდ, აფექტის მდგომარეობაშია და თვითონაც არ იცის რას ამბობს.

ცირა. ჯუმბერ, ვინაა ეს ახალგაზრდა, რა უნდა, აკი მამიდაშვილიაო.

ლევანი. ის იქნება, პოეტი.

ჯემალი. ვინ არი პოეტი, შენი... **(გაიწევს ლევანზე).**

ელისო. მე აქ მეტს ვეღარ გავჩერდები, მე წავედი!

ჯემალი. მოიცა, მეც მოვდივარ, კარგი, მოვდივარ.

ჯუმბერი. სად მიხვალთ, ბიჭო, სად! მითხარით, ვის ხელში მტოვებთ?!

ელისო. არ უნდა მაგას ხათუნასაგან, რა?!

ჯუმბერი. მართლაც... რა დაგემართა, ჯემალ, ბოლოს და ბოლოს, **ყველასა** გვყავს აქ, ცოლიც, შვილიც, საყვარლებიც და რა ვიცი კიდევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირა. ხათუნას მე ვეღარავინ წამართმევს, **(ჯემალს)** შენ კი არა, ქრისტე-ღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან. ჩემი ბავშვი ორი ათეული წელია იცდის, ლამის ზეზეურად ჩამოხმა და ჩამოდა... **(ხათუნას ხელს მოკიდებს)** წავიდეთ, ხათუნა.

ხათუნა. ახლავე? ასე?

ცირა. აბა რას ველოდოთ?

ხათუნა. როგორცა ვარ, ასევე?

ცირა. დიახ, დიახ, ასევე. შენც რა, ქვეყნის მზითევი გექნება წამოსაღები. ალბათ სამიოდე შარვალი და ამდენივე პერანგი, არა?

ჯემალი. ხათუნა... შენ მაინც უთხარი, ჯუმბერ, რამე. ვერ ხედავ, ვის მისდევს შენი შვილი?

ლევანი. ჩემზე თქვა?

ჯუმბერი. ვხედავ. ვხედავ კი არა, ჩემზე **ბედნიერი კაცი არაა ამქვეყნად (ირონიულად).**

ხათუნა. **(ჯემალს)** მე სრულწლოვანი ვარ. სრული უფლება მაქვს თვითონ გადავწყვიტო ვის გავყვე და ვის არა.

ცირა. მართალია.

ხათუნა. ცირა დეიდა, დასხედით, ცოტახანს დამელოდეთ და ახლავე გამოვალ **(თავის ოთახში გავა).**

ჯემალი. ვერაფერი გავიგე.

ლევანი. დედა, ქორწილს როდის გადავიხდით?

ცირა. გაჩუმდი, რა დროს ქორწილია. იჯექი მასე და ნუ გატოკდები სანამ მე არ გეტყვი, დაველოდოთ!

ლევანი. კარგი.

ჯუმბერი. რა ოჯახი მენგრევა თავზე, რა საათივით აწყობილი?

ხათუნა. მამა. **(კოცნის).**

ცირა. ლევან, სანამ ხათუნას არ გაგვატანენ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით არცერთი, გაიგე?

ლილი. **(ლევანზე)** აი ეს ერთიღა გვაკლდა და ესეც გამოცხადდა?

ხელი. კი, კი, ახლავე შეგვიძლია გავხსნათ ფსიქიატრიული, ახლავე.

შემორბის გივი გაგიჟებული.

ლილი. ა. **(უჩვენებს გივიზე).**

გიგი. ჯუმბერ, დავიღუპეთ! ბაბუხდიას ბინაში შერმაზანოვები შესახლდნენ.

ჯუმბერი. რა? ცირა, აიღე ყურმილი და დამალაპარაკე ერთი მანწყაევასთან.

ცირა. ასე გვიან? მერე უხერხული არ იქნება?

ამ დროს ყვირილით შემორბის იამზე.

იამზე. მოდის, მოდის.

ლილი. ვინ, ანზორი?

იამზე. გივი, გივი, ჩემი დირექტორი.

ჯუმბერი. როგორ, შენი დირექტორი მოდის აქ? თავისი ფეხით?

ლილი. ჯუმბერ, აიყვანე თავი ხელში!

იამზე სამწარეულოში იმალება.

ჯუმბერი. ჯემალ, შენი ჭირიმე, მოდი რა, შენ დაელაპარაკე, თორემ მე რომ ახლა მაგას ავყვე, შეიძლება შემომაკვდეს და ციხე მინდა ამ სიკეთისას?

ლილი. შემოგაკვდეს? ჯუმბერ, მე შენგან მაგას ნამდვილად არ მოველოდი.

ხელი. არც მე, არც მე...

პეპლის ჰალსტუხითა და ჭრელი ხელჯოხით ხელში ოთახში იამზეს დირექტორი, გივი შემოდის. მივა შუა ოთახამდე, შედგება. იწყებს ბინის დათვალიერებას. აწედავს ჭერს. თვალს გააყოლებს კედლებს და ბოლოს მზერას გაშლილ სუფრაზე შეაჩერებს. ისე რომ, ხალხს თითქოს ვერც ამჩნევს. ბოლოს ხელჯოხით სუფრაზე მიანიშნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი. საახალწლოა?

ლილი. დიახ, ბატონო.

გივი. **(ახლა ხალხის თვალიერებას იწყებს, თან ხელჯოხს ათამაშებს. თითოეულ ძათვალხზე მცირე ხნით აჩერებს მზერას. ბოლოს კი ისევ სუფრაზე მიუთითებს).** გეზიმებათ ხომ? გექეიფებათ. ზეიმობს ხალხი. დღესასწაულობს.

ნელი. ამ დღეს მთელი ქვეყანა ზეიმობს და ჩვენ რატომ უნდა გამოვაკლდეთ?

გივი. აი თქვენ, ქალბატონო, ლოგოპედი გზირდებათ. მე იმას მოგახსენებდით, რომ მე, მაგალითად, არც მეზეიმება და არც მექეიფება.

ლილი. ნუ იქეიფებთ მაშინ, გაკალეში ვინმე?

გივი. ჰოდა, არცა ვქეიფობ. ქუჩა-ქუჩა და კარდაკარ დავწანწალებ. ეს სად გიცმოვრიათ, ეს ქუჩები კი არა, რომაული კატაკომბებია. ძლივს მოვაგენინო.

ლილი. აი თურმე რატომ აგვიანებს ანზორი.

გივი. არც კი ვიცი საიდან დავიწყო. მრავალსულიანი ოჯახების მეტი რა მიხსოვს, მაგრამ ამხელა? მე, პირველ რიგში, იამზეს მეუღლე მინდოდა გამეცნო.

მცირე პაუზა. ჯუმბერი ჯემალს ანიშნებს და ჯემალიც წინ გამოვა.

ჯუმალი. იამზეს მეუღლე? მე გახლავართ, ასე ვთქვათ.

გივი. **(გაკვირვებული)** თქვენ? იამზეს დირექტორი, ასე ვთქვათ.

ჯუმალი. აა, ბატონი გივი, დიახ, დიახ, დაუსწრებლად გიცნობთ, როგორ არა. მობრძანდით სუფრასთან, რატომ ვდგავართ ფეხზე? დავლოცოთ ახალი წელი.

გივი. ახალი წელი? რომელი ახალი წელი? თქვენი მეუღლის გადამკიდეს, მახსოვს კი, რომ დღეს ახალი წელია? როგორც ჩანს, თვითონ სახლშიც არ არის, ხომ? ის მაინც თუ იცით სად დადის?

ამ შეკითხვას გივი ყველას უსვამს. იამზე ინტერესდება და სამზარეულოდან გაიძოლს. გივი მას ვერ ხედავს.

* თქვენ საიდან გეცოდინებათ, როცა თვითონაც არ იცის. ან მე რა მინდა აქ?

ჯუმალი. ეგ მეც მაინტერესებს, მაგრამ ცოტა დაკონკრეტეთ რაა, თორემ, მართალი გითხრათ, დავიბენი...

გივი. რა უნდა დავაკონკრეტო, ჩემო ძმაო, მაგის გადამკიდეს, თავი სად მაბია ისიც აღარ ვიცი.

ჯუმალი. კი მაგრამ რა დაამავა, ვერ მეტყვით, რომ მეც ვიცოდე?

გივი. რა დაამავა? ეგ არც ისეთი ადვილი სათქმელია, რომ იცოდეთ.

ჯუმალი. კაი ახლა, თქვი და დაგვასვენე, თუ კაცი ხარ, ამოშქრე რაღა...

გივი. არა, ჯერ თქვენ თვითონ მითხარით, რას წარმოადგენს თქვენი ცოლი. ჰო, ჰო, ჰო, ჯერ თქვენი აზრი მაინტერესებს.

ჯუმალი. ჩემი ცოლი რას წარმოადგენს? **(ჯუმბერს გახედავს)** გააჩნია რა ასპექტში...

ლილი. ოო, ასპექტში არა, ბიჭო, ისა... ძალიანაც ხოშიანი ქალია.

ნელი. დიახ, დიახ, ლამაზი, ეშხიანი, მაღალი მკერდით, განიერი და მრგვალი თეძოებით...

ლილი. მოკლედ, სუფთა სექსბომბაა რა...

გივი. არა, თქვენ მე ვერ გამიგებთ. მე მაინტერესებს...

ჯუმალი. წლოვანება? იქნება ასე შუახანს მიტანებული.

იამზე. შუახანს? **(წამოვა და გამომწვევად დაუდგება წინ)** აი აქ გახლავართ და შეგიძლიან ვიზუალურად დამათვალიეროთ.

გივი. **(იამზეს)** როგორ, თქვენ სახლში ბრძანდებით?

იამზე. დიახ, დიახ...

გივი. არა, მე შეხედულებაზე კი არ მოგახსენებთ.

ჯუმბერი. **(ჩაერთვება)** ა, ხასიათი? მართალი გითხრათ, არასტანდარტულია.

გივი. არასტანდარტული? თქვენ ვინა ხართ, რომ?

ჯემალი. ეგ? ეგ ჩემი ცოლისძმა გახლავთ. ნახევარი ძმა იამზესი. დედით ერთი არიან და მამით სხვადასხვანი. ესე იგი, ორი მამა ჰყავთ რა...

გივი. ჰოდა, საბოლოო იქნება ჩემი ლაპარაკი.

ჯემალი. მაგას მეც ვატყობ.

გივი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რანაირადა ჭირს ჩვენში კარგი სპეციალისტები.

ჯუმბერი. კი, რა თქმა უნდა, დღეს მაგის სპეციალისტები ნამდვილად ჭირს.

გივი. ახლა რომელს უნდა გელაპარაკოთ, ქმარს თუ ნახევარ ცოლისძმას?

ლილი. ყველას, ყველას.

გივი. ყველას? ძალიან კარგი. ჰო, რას ვამბობდი?

ნელი. სპეციალობაზე ბრძანებდით, სპეციალობაზე.

გივი. კი ბატონო. ძალიან კარგი სპეციალისტია. თავისი საქმის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე. რასაც კი ვავალებთ, ყველაფერს შესანიშნავად ართმევს თავს. ბაგრამ ხასიათი...

ჯემალი. ჰო, ხასიათი არც თუ ისე უმნიშვნელოა.

გივი. უმნიშვნელო? როგორ გეკადრებათ, მეც ხომ მაქვს, არა, ჩემი ოჯახი. სხვათა შორის, მეც მრავალსულიანი ოჯახის წარმომადგენელი ვარ. მყავს ცოლი, მყავს შვილი. მყავს დედა, მყავს მამა. სიდედრი, სიმამრი, ცოლისძმა არანახევარი და რა ვიცი, კიდევ ვინ აღარა მყავს.

ლილი. მაგის სათქმელად მობრძანდით ჩვენთან, ბატონო?

გივი. არა, ქალბატონო, მაგის სათქმელად კი არ მოვედი და... როგორ აგიხსნათ, აი როგორც თქვენ... არა, ეს რა სუფრაა, ამაზე ათჯერ უკეთესი...

ნელი. გვიწუნებს კიდეც, გვიწუნებს...

გივი. არა, კი არ გიწუნებთ. ჩვენ უბრალოდ, ამ ბოლო დროს მთლიანად ევროპულ კერძებზე გადავედით. გაგონილი გექნებათ: ბლომანე, შოკმანე, ვისკი, ბრენდი, შნაპსი...

ნელი. ხვანჩკარას, ხვანჩკარას არ ეტანებით?

გივი. იშვიათად... ჰო, რა გვქონდა კიდევ? ასატრინა...

ლილი. ესე იგი, ზუთხი.

გივი. და კიდევ „იკრა“, ჰო...

ლილი. ესე იგი, ხიზილალა, შავი თუ წითელი?

გივი. ერთიც და მეორეც.

ჯემალი. „იკრა“ არ ვიცი და... აკვრით კი ნაღდად აიკრავს, მამაპაპურად.

გივი. ჰო, რას ვამბობდი? მოკლედ, დავაჭქეთ, როგორც წესია, ფრანგული შამპანურები, მივუწკარუნეთ ჭიქები და ეს, როგორც წედან თქვენ ბრძანეთ, სექსბომბა გამოგვეცხადა ჩემოდნით ხელში. და რა ბრძანა თუ იცით?

ლილი. ჰო, რა, რაა?

გივი. მეტი აღარ შემიძლია, ან მე, ან შენი მეუღლეო. ჩემი, ისედაც, უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ, უსაბაბოდ, საშინლად ეჭვიანი მეუღლისა და მთელი მისი საყვარელი ნათესაობის თვალწინ. წამოიშალა იმ წამს მთელი ეს მისი ნათესაობა, დახვეტეს მთელი ეს სურსათ-სანოვაგე და ჩემი ცოლშვილიანად საკუთარ სახლში გადაბარგდნენ. სად წვასსულიყავი, ბატონო, ავდექ და თქვენთან წამოვედი. დაიჯინა ამ თქვენმა ცოლმა, თითქოს მე მიყვარდეს. მთელი სამსახური ამაზე ლაპარაკობს. მინისტრმაც კი გაიგო ეს ამბავი, როცა მე ერთი პატარა, იოტისოდენი საბაბიც კი არ მიმიცია. მიხარით ახლა, მექეიფება და მეზეიმება დღეს მე? მე ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი, მხოლოდ ჩემი ცოლი და მეტი არავინ, ჩემთვის ერთი ქალი სრულიად საკმარისია.

ნელი. ეგ ერთიც ზედმეტია, ზედმეტი.

გივი. მე საქმეზე ვურეკავ, ნახაზები მჭირდება, ათაციანი კომისია მიზის სამსახურში და ეს კი ნახაზების მაგივრად, ჩემოდნით ხელში გამორბის და სიდედრის

თანდასწრებით მიცხადებს, ოჯახი მივატოვეო. პატივცემულო იამზე, მართალია, თქვენ კარგი სპეციალისტი ბრძანდებით, ხართ კიდეც დაფასებული სამსახურში, არც მე მინდოდა მეთქვა ეს ყველაფერი, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მქონდა... ისეთ დღეში ვარ, ლამის თავი ჩამოვიხრჩო. ჩემს მდგომარეობაშიც ხომ უნდა შეხვიდეთ, არა? რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ერთ ქალს რით ვერ უნდა მოუაროთ?

იამზე გივის ლაპარაკზე თანდათანობით ცუდად გახდება.

იამზე. ალბათ ჩვენს დროში სიყვარული აკრძალულია. მე ავადა ვარ, მე ექიმის დახმარება მჭირდება... ექიმის.

იამზე წინა პლანზე მოდის. ბარბაცებს. ჯუმბერი მივა და ხელს შეაშველებს.

მე ალბათ ნამდვილად ავადა ვარ. მე ეტყობა მართლაც მჭირს სიმბოლიზმი.

ჯუმბერი იამზეს სავარძელში ჩასვამს.

ნელი. (გივის დაჰკივლებს) გაეთრიე აქედან!

ხელის სხვებიც მიბაძავენ და გივის გააპანღურებენ.

ჯუმბერი. იამზე, უნდა მაპატიო, თუ შეგიძლია, ეს მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მე. აი ნახავ, ხვალიდან ყველაფერი შეიცვლება, ახალ ცხოვრებას დავიწყებთ.

იამზე. არა, ჯუმბერ, შენ რა შუაში ხარ, ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი. მე ალბათ ნამდვილად გიჟი ვარ, გიჟი.

უეცრად ქალაქში თოფების ჭექა-ქუხილი ატყდება. პირველად ყველა გაოგნდება. საათი თორმეტს დარეკავს და მიხვდებიან, რომ ახალი წელი დადგა. ყველანი მხიარული შეძახილებით ფანჯრებს მისცვივდებიან.

შეძახილები. ახალი წელია, ახალი წელი. გილოცავთ, ახალ წელს გილოცავთ. ხათუნა... ჯუმბერ... ელისო...

ყველანი ჭიქებით ხელში პკოცნიან და ულოცავენ ერთმანეთს.

იამზე წამოდგება, ავანსცენისაკენ წამოვა და მაყურებელს მიმართავს.

იამზე. ჩემო მეგობრებო, არა მგონია, რომ ჩვენს ცხოვრებაში რაიმე შეიცვალოს. მაგრამ დღეს, ახალი წლის ამ პირველ ღამეს, როცა დედამიწა კვლავ აგრძელებს თავის უსასრულო სვლას მცხუნვარე მზის გარშემო, მინდა, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი და ზოგჯერ მაინც აღვუდგეთ წინ ბოროტებას, თუნდაც წელიწადში ერთხელ... გილოცავთ და გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, სიხარულს და სიყვარულს!

ფარდა